წელიწადი პირველი. № 11. ფასი 20 კაპ.

განთიადი

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

შინაარსი:

1. ***, ლექსი, ს. ტაიფუნისა.
2. ამირანის ცეცხლი, დ. თურდოსპირელისა.
3. დაუწერელი მოთხრობა, ნ. ლორთქიფანიძისა.
4. საღდგომო კაბა, დასასრული, კირილე წუთისოფლელისა.
5. ბრწყინვალე მომავლისკენ, გაგრძელება, ივ. ი—ანისა.
6. რედაქციისგან.
7. სალაყბო წერილები, პეტრე მირიანიშვილისა.
8. ჭუთაისი, ია ვარდიძისა.
9. კრიტიკა. ილია ჭავჭავაძე, როგორც ლირიკოსი—პოეტი, ხომლელისა.
10. ქართული პრესა.
11. სადღეისო, მ. ხონელისა.

1 ივლისი 1915 წ.

ჭუთაისი
სტამბა „ძმობა“, ჭარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო და სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„განთიად“-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრლიძესთან, ხონში—გიგლა მებუკესთან, ბათომში სოსიკო მდივანთან, სოხუმში ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ამიერიან ძ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი 3. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ტინტაძე.

განთიადი

№ 11. 1 ივლისი 1915 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

***

ცელქი სიო ყვავილებსა ღამის ცვარზე პირს უკოცნის,
პოეზიით სავსე ექსტაზს ჩანგს უჟღერებს და უცინის...
ცის ასული ნაზ ეთერში ნელის რხევით მისრიალებს,
სხივთ ლეჩაქში ხოვს მიდამოს, ვარსკვლავთ ხომლსა აციმციმებს...

***

დრო უსრულებელ ჟამთა სრბოლისა
მიქრის, მიფრინავს შეუსვენებლივ,
მარად ჭაბუკათ სტოვებს ჩემს- ჩანგსა,
ყრმობის წიაღზე აუჟღერებლივ...

***

ოცნების ბაღჩა
აყვავებულა,
უკვდავი ჩანგი
აჟღერებულა.---
ფრთამ ოცნებისამ
შუქ-მოელვარემ...
ზე ამიტაცა
იმედ მქროლვარემ...

***

იმედის კოცნამ ფრთაედემი, შვება მომიძღვნა,
ორძალის წყევამ ჩემ თავზედა გადაირბინა,
მთათა მწვერვალსა ამაცილა, იქ მიმცა ეტლსა,
ჟამთა ქარავანს გადამტყორცნა, მიმცა მთის ნავსა...

***

სული ჩემი იმედების
ნიავს გაყვა, ნიავს მქროლავს.
აღმაფრენა ბედკრულ მგოსნის
ცის უფსკრულში შვებათ ფრინავს!..
მარა,-ვაგლახ, დაიცრიცა,
ძირს დავეშვი, შავს უფსკრულში;
შევუერთდი ქვეყნის სევდას,
შევსრიალდი მის დუღილში...

ს. ტაიფუნი.

ქ. კიევი.

ამირანის ცეცხლი.

(ეკეკის ხსოვნას)

I.

— რათა დედილო, რათ მიჯაჭვეს ამირანი საყორნიას მთაზე?—ეკითხებოდა დედას პატარა კაკო, ისეთი სევდიანი გამომეტყველებით, თითქოს საკუთარი თვალით ენახოს ყვავ-ყორნებისგან მკერდ გაღადრული ამირანი.

— იმიტომ, შვილო, რომ ამირანმა რძის პურის ჭმევა დაუწყო ხალხს. მდევებს ეს არ ეჭაშნიკათ. მათ უნდოდათ ისევ სისხლით მოზელილი პურით ეკვებნათ იგინი და ამიტომ მოაშორეს ხალხს საბრალობელი.

— მერე, დედილო, მერე... არავინ წასულა მისაშველებლათ?

— წასვლა-კი არავის გაუბედნია, ისეთს შიშსა და ტუქსვაში ყოფილან მდევებისგან. მხოლოთ ერთ მონადირეს კლდეზე გზა დაკარგოდა და შემთხვევით წადგომოდა თავზე ამირანს. იგი შეხვეწოდა: თუ ძმა ხარ, ე ხმალი მომაწოდე, ვერ მივწდომილვარო. მონადირე დაწვდომოდა დაჟანგებულ ხმალს, მარა ძვრაც ვერ ექნა, ისეთი მძიმე ყოფილიყო.

მაშინ ამირანის რჩევით, მონადირე გაწოლილიყო მიწაზე და ორივე ხელებით დაჯაჯგურებოდა ხმალს. ამირანი კიდევ მონადირეს ფეხებს დასჭიდებოდა და მოეზიდნა. მარა მას ისე საშინლათ დაეყვირა: ვაიმე, დედავ, წელში გავწყდიო, — რომ ამირანს ხელი გაეშვა.

სხვა რო ვეღარაფერი გაეწყოთ, მონადირეს ეთქვა: წავალ, ჯამბარას მოვიტანო. ამირანს დაერიგებინა: ვინძლო, ყველაფერი ისე მოახერხო, რო ძე ხორციელმა ვერა გაიგოს რა, თორე, თუ გამჟღავნდა—შენი მტერი დავიღუპებიო.

მონადირე იმ ღამესვე ჩასულიყო სოფლათ, ჩაედვა ჯამბარა გუდაში და უთენია გადგომოდა გზას. მარა ამირანისთვის თვალი მოეკრა იმ შეჩვენებულს მის ცოლს და კივილ-გნიასით დადევნებოდა: ამ უდროო დროს სად ჯანდაბასა და დოზანაში მიხვალ, კაკო, ან რა ეშმაკებისთვის გინდა ეგ ჯამბარაო.

მონადირეს ეთმინა, ეთმინა, კრინტი არ დაუძრავს, რა არის პირობა არ დავარღვიოო—რომ აღარ იქნა და არ მოშორებოდა ნავსი დედაკაცი—დაბრუნებულიყო მონადირე სახლში, ამოეშვლიპა სახრით ის თვალ-დამდგარი, და გულის ხეთქებით ისევ გაქანებულიყო მთისკენ. მარა ამირანისთვის ვეღარ მიეგნო.

ის დღეა და ეს დღე, აღარავის უნახავს გმიროა-გმირი...

კაკო უზომოთ დაანაღვლიანა ამ ამბავმა... გული ჩაუთუთქა... სულ კბილებს აკრაჭუნებდა იმ დედაკაცზე, ვისი მეოხებითაც მიუვალი შეიქნა ამირანი...

ხშირი ღამე ჩამოწვა... მთელმა საჩხერემ მიიძინა... ძაღლების ღავღავიც-კი შეწყდა და კაკო ისევ ამირანზე ელაპარაკებოდა დედას.

— კარგია, კუჭი, გეყოფა... უკვე შუაღამეა მოტანებული, დაიძინე, —უთხრა დედამ და გაშალა ლოგინი.

დაწვა კაკო, მარა რულიც არ მიკარებია... რაღაც მოუსვენრათ ტრიალებდა... ბორგავდა... გონება შავი ფიქრების ქსელში გახლართოდა... ცდილობდა დაერღვია იგი... დაენაწევრებინა... გამოეხსნა ხვანჯი... გამოერკვია საკითხი გულის ხმიერი, მარა ვერ ახერხებდა... ფრიად ჩჩვილი იყო მისი აზროვნობა...

— დედილო... დედი... დიდიი!..—დაუწყო ძახილი და ღვიძება დედას, რომელიც ისე დაექანცა მთელი დღე ფუსფუს-საქმიანობას, რო თვალის მოხუჭვის უმალ ღრმათ ჩაძინებოდა...

— აბაიმე, რატომ არ გეყურება, დედილო... დედიიო.

— რა იყო, რა ამბავია, შვილო, რატომ არა გძინავს... ხომ არა გტკივა რა—წამოვარდა გულ-გადაბრუნებული მშობელი და ნიავივით ძალათ მიიჭრა კაკოსთან...

— მე არა მტკივა რა, დედილოჯან, ეს ამიხსენი მხოლოთ: რატომ ღმერთი არ ეშველება ამირანს?.. ის ხო კეთილია... სათნო... მას ხო ყველა უყვარს... ის, თურმე, მიცვალებულებსაც აცოცხლებდა და ამირანი ხო ცოცხალია... რა გაუჭირდება მისი გათავისუფლება?..

— ისევ ამირანისას ფიქრობ?.. აბა, რა გითხრა, შვილო, რა ვიცი, რატომ არ ათავისუფლებს... ვინ მისწვდება განგების ნებას?... ვინ იცის, იქნება, ნებავს ისიც იობსავით გამოსცადოს სულგრძელობაში...

კაკო უფრო მოიცვა გაურკვეველმა ფიქრებმა, „იქნება, ნებავს მისი გამოცდაო“ — უცნაურია... რათ... რისთვის... ვისი გულისთვის უნდა ნებავდეს მისი დაუსრულებელი ტანჯვა... გამოუთქმელი ვაება?!!.

უჰ, ამირანი რომ აეშვას, რა ბედნიერებას მოგვანიჭებდა... ყველას გაახარებდა... ყველას რძის პურს გაუჩენდა... ქევხიანთ ობლებიც აღარ ილასლასებდენ კარიდან-კარათ სათხოვნელათ...

ძალმომრეობას და უკმეხობას ხომ ამოუგდებდა ქოქსა და გასაგისს.

ჩვენს აღრინებულს მოურავს უჩვენებდა, როგორც უნდა საბრალო გლეხების ქედზე სახრის ჯაპა-ჯუპი...

არც ჩვენი გიმნაზიის გაუთლელ მასწავლებლებს დაუკოცნიდა თვალებს, „როზგებით“ მოწაფეების ზურგის აჭრელებისთვის...

კაკოს მოაგონდა ერთი შავი დღე, როდესაც ერთმა მასწავლებელმა სამჯერ დაარტყა სახაზავი ხელის გულზე და მთელი ტანით აკანკალდა... ტუჩის ფერი დაკარგა...

— დედილო!..

— რა იყო, შვილო?..

— მე წავალ ღმერთთან... ვთხოვ, გაათავისუფლოს ამირანი...

— შენ-კი გაიხარე, შვილო, შენა!.. ვის გაუგონია ღმერთთან მისვლა?.. ის შორს... შორს... ცაში ბძანდება. აბა, როგორ ავა იქ ადამიანი?.

— როგორ არა, დედილოჯან, შეიძლება ღმერთის ნახვა... აი, ჩიხურას გალმა გაწოლილი მთები ხო ცამდის არიან ატყორცნილნი... ავალ იმ მთის მწვერვალზე და იქიდან ავხტები ცაში...

— არა, შვილიკო, არა!.. შეუძლებელია ცაში ასვლა. აქიდან გეჩვენება, ვითომ მთებთან ცა ისე ახლოს იყოს, რო შეიძლებოდეს ხელის მიწვდენა... მთაზე რომ ახვიდე, ისევ ისე შორს გამოჩდება, როგორც აქიდან.

— მაშ იცი, რას ვიქმ, დედილო? შარშან ბიძაჩემმა რო მთიდან არწივი მოგვიყვანა-თქვა: ხშირხშირათ უნდა დავაჭრა ფრთები, რომ არ გაგვიფრინდესო... მოდი, ნუღარ დავაჭრით... დაეზარდოს ფრთები და იმითი გავქროლავ ღმერთისკენ...

— რათ გინდა, შვილო, არწივი, როდესაც თვით გამოგეზრდება მძლავრი და ღონიერი ფრთები... მაშინ პირ-და-პირ ამირანთან მიიჭრები მის გასათავისუფლებლათ.

ახლა-კი დაიძინე, ჩემო ბალის კუნწულო, დილაზე ადრე უნდა ადგე, სკოლაში წასასვლელათ, გულის ნეტარი ჩქროლით უთხრა დედამ, დაუკოცნა ლამაზი და ჭკვიანი თვალები... ამოუკეცა იღლიებში საბანი... გადასახა პირჯვარი და წავიდა თვის საწოლისკენ...

ფიქრების მღელვარებით მოდუნებულ კაკოს ახლა-კი მალე ჩაეძინა და დედის ნანასავით შეეტკბო სხივოსანი, ზღაპრული სიზმარი...

სად იყო ახლა მისი ფრთა ჭრელი ოცნება?

ვის უფოფინებდა სულს მისი ხალისიანი ტიკტიკი?

II.

— მიამბე, დედუკებოჯან, კიდევ მიამბე ზღაპარი, — ეხვეწებოდა კაკო, რომელიც უფრო და უფრო იხიბლებოდა მათი ღრმა აზრებით და ფანტასტიური სურათებით.

— აღარა ვიცი რა, შვილო, რაც მახსოვდა, აკი გიამბე... ბევრი რაჩ გადამავიწყა ამ დასაქცევმა სიბერემ...

— გეცოდინება, დედილოჯან, უეჭველათ, გეცოდინება... აბა, დაფიქრდი.

— კარგი! ხალხურ „ვეფხის ტყაოსანს“ გეტყვი.

— არ მინდა ეგა...

— „სირინოზიანს“ მოგიყვები.

— არა, არც ეგ მინდა... რა ერთი ხანია, რაც ბებიამ მიამბო ეგენი...

— არც ეს მინდა, არც ისაო — მაშ, სხვა რაღა გითხრა?..

— რატირელი ზღაპრები მიამბე, დედი-

ლო, რატირელი... აი, როგორიცაა „როსტომი“, ამირანი.

— არა, შვილო, არა. ადრეა შენთვის სევდიანი ზღაპრები... ჯერ ისევ ბავში ხარ. ისიც გეყოფა, რაც იცი... მოიცადე... გაიზრდები და შენი უსაყვარლესი მ'მობელი საქართველო გიამბობს გულის მომწველ ზღაპრებს.. ის გადაგიშლის თვისს გულის წიგნს და წაგაკითხებს საშინელს ტრაღიკულ თავ-გადასავალსაც...

— მალე გავიზრდები?.. მალე გამომესხმება ფრთები?..

— მალე, მალე გაიზრდები, ჩემო სიხარულო, მალე გაფრთოვანდები... ახლა-კი გაიქე გარეთ სათამაშოთ. შვენიერი დღეა. მხოლოთ კოშკების ბურჯებზე ნუღარ აფოფხდები... უწინამც დღე გამიქრება და იმ სიმაღლიდან რო გადმოვარდე, გზაშივე გაგფთხვება სული.

— იცი, დედილო, რა კარგათა ჩანს იქიდან კოლხეთის კეკლუცი და მდიდარი არე-მარე? როდესაც იქ ავდივარ, ისე მითავისუფლდება გული, ისე მჩატეთ ვგრძნობ თავს, თითქოს უხილავი ხელებით მეწეოდენ მაღლა... სულ მაღლა... მარა მალე მოვექცევი ხოლმე ბურჯებს თავზე.

ისეთი-კი მინდა... ისეთი მინდა ის ბურჯები არა თავდებოდენ... შეუწყვეტლივ ადიოდენ მაღლა-აიმ ნისლებამდის—გაიშვირა თითი სპეტაკი ნისლებისკენ, რომელნიც ჩამოყალიბებულიყვენ ლაჟვარდში, როგორც მარმარილოსგან ნაკვეთი მერნები...

— მერე [illegible]ოს გააკეთებდი იქა?..

— მოვახტებოდი ზედ და მყის საყორნიას მთისკენ გავიქროლებდიო - მიუგო კაკომ და, რაკი შორს იყო ნისლის რაში, მის ნაცვლათ ჯოხს გადააბოტა ფეხი, ლაგამათ ამოსდო ქამარი, გადაკრა წკეპლა და ჰერი!.. ჰეხვინ-ხვიხვინით გაინავარდა სწორებისკენ.

დედამ ნეტარებით გააყოლა მოსიყვარულე თვალები... წინათ გრძნობამ იდუმალათ ჩაჩურჩულა, რო მისი ბიჭუნია შეიქნებოდა ერთ დროს, დიადი მოსაგრე, ფხიზელი გუშაგი აბუჩათ აგდებულ, დაჩათინებულ თვისი ტანჯული ქვეყნისა.

III.

კაკო გაიზარდა... დაჭაბუკდა... ტუჩებზე პირველი ხავსი აუბიბინდა... თვალებში ნაპერწკლები აუკვესდენ... სევდის ჩრდილებით შემოუსევადა ქუთუთოები.

ისეთაც პტყელი შუბლი უფრო გაუგანიერდა... გაეშალა... სწორეთ კალო გაილეწება ზედაო, ამბობდა ხოლმე თავ-მომწონეთ დედა.

ბავშობისას ხომ უყვარდა ბუნება და ახლა უმისოთ ერთ დღესაც ვერ გაძლებდა.

ნიადაგ მისს წიაღში ატარებდა დროს... სადაც უნდა შემოღამებოდა, არ ინაღვლებდა. წამოიხურავდა მანტიას და მიწვებოდა ძილათ.

მერე, რა ტკბილათ ეძინებოდა... რა წარმტაც სიზმრებს ხედავდა!.. მუდამ ეზმანებოდა უცხო-ტურფა რამ ქალი, რომელიც ზღვის ჭავლსავით ნაზათ ჩასჩურჩულებდა:

ყრმაო... ყრმაო... ძვირფასო ყრმაო... მე მიყვარხარ შენ... მიყვარხარ თავ-დავიწყებით... გაგიყებითო... არ დამანებო თავი... არ მიმატოვო, სულ სხივოსანო... იარე მარად ტყეში. იარე მარად მთებში... ხვალ განთიადისას „ცხრა წყაროს“ მწვერვალზე ვიქნები. იქ ამოდი ჩემს სანახავათ...

კაკოც უმალ იღვიძებდა და მთას მიაშურებდა ხოლმე პაემანის ასასრულებლათ.

მართალია, „ცხრა წყაროზე“ იმ ზღაპრულ ქალწულს ვერა ხვდებოდა, მიუხედავათ ძახილისა და ძიებისა. მარა გული უზომო სიამით უწყებდა ძგერას... სული ნეტარებით უკასკასებდა...

ვერა ხედავდა იმ ქალს ისევე სურათ-ნაკვთად, როგორც სიზმარში. მარა სწამდა, რომ ის იქ იყო: ლაჟვარდ ეთერში სხივებათ გაშლილი... ტევრის შრიალში ჩანასკული... მოღღურტულე ნაკადში ათვალ-მარგალიტებული.

ის ქალი თვით ბუნება იყო... განთიადის ოცნება... მთების ზღაპარი...

თხოვდა იგი სიყვარულს და აკაკიმაც შეიყვარა...

მთების კელაპტრებით აციაგებული მწვერვალები თვისს სალოცავ ტაძრათ, წმიდა საკურთხევლათ დასახა...

ან როგორ არ შეეყვარებინა, როდესაც ყოვლად ძლიერსა და შვენიერს მზესაც მთის თხემები უყვარს ყველაზე მეტათ...

განთიადისას პირველათ მათ მიესალმება და მწუხრისასაც უკანასკნელათ მათ გამოემშვიდობება.

უნდა განახათ, როგორ ეძნელება გამოთხოვება... მან იცის, რომ უომისოთ პირ-ტუქსი ღამე განუჭვრეტელი წყვდიადითა და ჟინჟღლიანი ნისლებით ჩამოაწვება მაჯლაჯუნასავით.

მან იცის, რო გულ-ქვა ღამის სუსხიანი ფრთები მორთვლიან, დაზრობენ სათუთ იებს, რომელნიც შეყვარებულნი არიან მზის სხივებთან, რომ ამ სიმაღლე მთებზე ამოვიდენ და აქ გაიშალნენ, რა არის, რაც შეიძლება, მალე შეეგებოთ ჩვენს აშიკსაო.

იცის ღამის ოინები მზემ და ჯავრისგან ფითრდება... ღრიანკალის ემსგავსება...

ახ! რა რიგ უმძიმს გამოსალმება...

იგი თითის ფჩხილებზე დგება და ისე უმზერს მწვერვალებს... პაწაწა ყვავილებს...

აგერ... აგერ... ორიოდე მქრქალი, კნინი სხივიც და... ჩაესვენა... ჩაინთქა უფსკრულში.

მწუხრის ჩრდილები აცოცდენ მთებზე... უზარმაზარ მდევებათ გადმოწვენ ბარათ...

სიყურსე და მოწყენილობა მიმოიფინა კიდითი კიდე...

სიცივის ღმერთმა იწყო მთქნარება ლოქაფი პირით...

აჟრჟოლდენ... სუსტი კვნესა აღმოხდათ ყვავილებს...

ზენაარო!.. შენ გადაარჩინე იგინი ღამის სუსხს... აღირსე გათენება... აღირსე მიჯნური სხივმოიეფე...

IV.

ასე საოცრათ შეიყვარა აკაკიმ ბუნება... ასე იხიბლებოდა მისი უმანკო სიტურფით... ქალწულებრივი სიკეკლუცით... მარა სხვა რა არის სრული ამ ქვეყნათ, რომ აკაკის შვება ყოფილიყო უჩრდილო... მას ეს ნეტარება ეშხამებოდა, სასოება ეკვეთებოდა, როდესაც თვალს მოკრავდა მიყრუებულს ადგილებში მივიწყებულ დანგრეულ ციხე-კოშკებს...

ამ დროს ბუნება ვეღარ ხიბლავდა მას... მთის ზღაპარი-კეკლუცის სახით ზმანებული, ვეღარ იწვევდა მწვერვალებისკენ...

აკაკი რჩებოდა ძირს და ჩაწვდიადებული სასოწარკვეთილებით უყურებდა, თუ რა ულვთოდ გაერანებულიყო „ვეფხის ტყაოსნის“ საეშობლო, როგორ გაპარტახებულიყვენ ქალაქები, რა უწყალოთ გართხმულიყვენ ციხე-კოშკები, ტაძარ-მონასტრები.

მართალია, ყველა არ გამქრალიყო და გაუქმებულიყო...

აქა იქ დარჩენილიყვენ ძველი ტაძრები, სადაც ახლაც სრულდება ღვთის მსახურება. მარა, ვაი იმ ყოფას.

ისინი უფრო მოთქვამენ წმიდათა წმიდის შებღალვას და მკვრეხნელობაზე, ვიდრე გალობენ „ოსანნას“ სასოებიანს.

აი, „შუა-მთის“ მონასტერი... მოწმე კახეთის აყვავებისაც და დაცემისაც... ლიტანიობისაც და დაქვრივებისაც.

საუკუნეთა ქარტეხილმა ვერა ავნო რა და დღეს, რა დამართნია?. ბბა, შეხედეთ მის კედლებს? სადაა ის მოხარატებული ჩუქურთმები, რომელნიც გადაურჩენ ირანის ლომის შაჰბაზის რისხვას? სადაა ის საუნჯენი, ფასდაუდებელნი მხატვრობანი, რომელითაც შეამკეს, გააკაშკაშეს ბიბლიური შარავანდედით გრემისა და ათონის აკადემიებში განსწავლილმა ხელოვანებმ?!

რა იქნა ელვარე იაგუნდით მოჭედილი ქეთევან წამებულის ხატი, რომელიც ისეთის ლმობიერებით გამოიყურებოდა, რო თავზე ხელ-აღებულ ავაზაკსაც-კი მოხიბლავდა... მოათვინიერებდა... კაცთა სიყვარულით გაუბრწყინებდა გაბოროტებულ გულს?..

შეუგინებიათ... გაუქირდავთ იგი...

ვეება ხატიდან მარტოთ-მარტო სახელა დარჩენილა ქეთევანისა.

ისიც, რა დაღრეჯილი, რა შეწუხებული გამოიყურება...

ყიზილბაშთა მარწუხ-შანთები ხომ არ აგონდება და იმიტომ არაა ესდენ შეურვებული?..

სრულებითაც არა!..

აკი მტკიცეთ... აუთრთოლებლივ შეხვდა იგი სიკვდილს... აკი სიამოვნებით დაედო მტლეთ საქართველოს კეთილდღეობას?..

მაშ, რას ჩათხრობილა?..

რა ულრღნის გულსა?...

ის, ის აურვებს და ავაგლახებს, რო მეორეთ აწამეს... მეორეთ დასტანჯეს უარესი მოწამეობრიობით ახლახან—მეცხრამეტე საუკუნეში!

სავონაროლას დემონიურ აღტყინებას ისე არ მოუსრავს იტალიელ ხელოვანთა სიცოცხლითა და სიხარულით ამჭევრებული შემონაქმედნი, როგორც კირითა და ტალახით შეთითხნეს... შემუსრეს ქეთევანის სავანის მდიდარი მხატვრობანი...

„ლოცვა კურთხევით“ აწამეს ქეთევანი და მასთან ერთად ის ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი, ვინც საღებავების ფსალმუნებით დაამკვიდრა ქართველთა სახელი უკვდაეთა პანთეონში.

აი, რა დარჩენილიყო ბრწყინვალე წარსულიდან... აი, ნატამალი მაღალ კულტურის.

აი, მატიანე... შავი ზღაპარი აოხრებისა და ამტუტების...

აკაკის ის უფრო უსერავდა გულს და უკიდებდა ცეცხლს, რომ ეს მატიანეც-კი, ეს უკანასკნელი სიგელ-გუჯრები ჩვენი ეროვნებისა ისპობოდა... დრო-ჟამი უწყალოთ შლიდა მის ასოებს. აცამტვერებდა... აქრობდა სამუდამ-ჟამოთ... აღუდგენელათ.

ვინ... ვინ შეაჩერებს, ამ სპობას... ვინ გააცოცხლებს, ვინ ჩაუდგამს სულს ამ ნახევრათ წაშლილს მატიანეს... ვინ გააღვიძებს... ვინ?.. დამუწულია ხალხის პირი... დავიწყებია მას ალმასივით მკვეთრი სიტყვა... ელვასავით მბასრავი შემოძახილი.

ახ, რო გაიღვიძებდეს ნათელი, მხნე სიმღერა... რო დაარღვევდეს ამ სამარისებურს დუმილს შურის ძიების სიმფონია... როგორ განახლდებოდა... გაედემდებოდა მკვდარ უდაბნოთ ქცეული მამული...

მარა სდუმს... სდუმს ხალხის გული... სდუმს, ვით ეს ციხე-პალატნი, გაუქმებულნი...

V.

სასოწარკვეთით ეკითხებოდა უკვე დავაშკაცებული აკაკი დედას.

— როგორ არა, შვილო, გაიღვიძებს... უეჭველათ, გაიღვიძებს... მარა არა ტირილითა და თავში ცემით.

— მაშ, რა გააღვიძებს რა, დედილო?..

— ამირანის ცეცხლი...— მიუგო დედამ და თან ისე გრძნებით ჩახედა თვალებში, თითქოს სდომებოდეს შიგ.ქარიშხლის აზრიალება...

— დიახ, შვილო, ვინც ამირანის ცეცხლით აინაღვერდლებს გულს, ის შესძლებს მიმტკნარებულთა ხელ-ახლა გალომგმირებას... დავიწყებული სიმღერის გაღვიძებას.

– ამირანი... ამირანი... ის ხო მიუვალია... ის ხო ფეხ-მოუკიდებელი ციცაბო ქლდის კინჭუხზედაა დაკიდებული... ბავშობისას მჯეროდა, ფრთები გამომესხმებოდა და მივიჭრებოდი მის გასათავისუფლებლათ. მარა სადაა არწივის ფრთები და ჭანგები... სად?..

— აგრე, როგორ გაგტეხია გული, შვილო? ადამიანს აარწივებს მტკიცე რწმენა...უტეხი იმედი გამარჯვებისა... იწამე შენც... ჩაინერგე ღრმათ სასოება და მოხდება სასწაული... გამოგესხმება ფრთები.. შესძლებ ამირანისკენ გაქროლას. არ უნდა შეგაფიქრიანოს დაღუპვის შესაძლებლობამ, სვე-უბედური იკარის ბედმა...

რა არის შიში ამისთანა დიად, წმიდა საქმესთან!.. ათასი სიცოცხლეც რო ქონდეს ადამიანს, ყველა სიამტკბილობით უნდა შეს-

წიროს, თუ-კი ოდნავ მაინც უჩაჩუნებს გულში სიყვარული თვისი ტანჯული ქვეყნისა...

უნდა გახსოვდეს, რო მხოლოთ ამირანის ნაპერწკალით შეიძლება ამ აშმორებულ-დახავსებული ცხოვრების გადაბუგვა და გამოჭედა ახალი მომავალის... გაჩახჩახება ნანატრი გარიჟრაჟის.

VI.

ძლიერია გატაცების გრიგალი და აკაკიც დაემონა მის ფრთებს...

გაბედა ამირანთან წასვლა...

დედა არ დანაღვლიანებულა... პირ-იქით, სიხარულით აივსო... ცას მოეწია, რო თვისი პირ-მშო იხილა გმირთა-გმირული გრძნობით აზავთებული.

მართალია, იგი არა ყოფილა დარწმუნებული, თუ მისი შვილი ისეთი მძლავრი აღმოჩდებოდა, რო ძლევდა დაბრკოლებებს და ჩამოიტანდა ამირანის ცეცხლს... მარა მისი მაგალითი... მისი თავ-განწირვა ხო ცხადი იქნება... მისი სახელი ხო გადაეცემა მხიბლავ ლეგენდათ ხალხს და ააგულიანებს... გაიტაცებს სხვა უფრო მძლავრებს დიადი მიზნისკენ... და, ვინ იცის... იქნება, რომელიმე მათგანმა მაინც მიაღწიოს მიზანს...

— ქუხს, დედილო, ცა, დედამიწა ირყევა... ელვის გველები იკლაკნებიან სივრცეში...—შემკრთალი ხმით წარმოთქვა აკაკიმ, როდესაც ემშვიდობებოდა დედას...

— ფიქრი ნუ გაქვს, შვილო... ქუხილი გულს გაგიფოლადებს და ელვა უფსკრულს გაგინათებს... მზრუნველი ანგელოზივით აგაცდენს ხიფათს.

აკაკის მოეწონა დედის სიტყვები... შერცხვა კიდეც, რო გული გაუთანაღრა ქარიშხლის სიმძაფრემ... ერთხელ კიდევ გადაეხვია დედას და გულ-გამეხებული გაუდგა გაუკვალავ გზას.

VII.

მიდიოდა აკაკი ღადა-ღუდა ხევ-ხუვებში... მოლიპულ ოღრო-ჩოღროებში... შავი მთების გრეხილებზე.

წვეტიან ქვა-ღორღისგან ეჩქლიფებოდა ფეხები... უწყლულდებოდა და უმსივნდებოდა.

ნაპრალი და ტაფობი... ფრიალო და უფსკრული წამითი წამათ უღობავდენ გზებს.

სტიქიონი ხო ყველა სიმძაფრეს იჩენდა, რო მოეტეხა ანდამანტივით განუკვეთელი მისი ნების ყოფა.

პაპანაქების ჭრტიალი და კორიანტელი... სეტყვა-ღოლფონი და რუხრუხ-ტკრციალი, ზვავის ჩამოწოლა და მთების მოგლეჯა-ჯოჯოხეთის ძალებსაც-კი შეაძრწუნებდა... ფილენჯის ქარს მოგვრიდა... ელეთ-მელეთს მიახეთქებდა... აკაკი-კი წარბსაც არ იხრიდა... გამაცვიფრებელის სარისტიანობით უმკლავდებოდა მათ და ვეფხვივით მოქნილი მიილტვოდა იქით, სადაც ღვიოდა ღველფი საქართველოს გადამხალისებელ-აღმაორძინებელი.

VIII.

... როგორ მიაღწია ამირანთან, როგორა სძლია ლაყუნა სვავ-ორბებს და როგორ გამობრუნდა გამარჯვებული—აკაკის არ ახსოვს... მთელი ეს ბრძოლა გადახდა მტანჯავი სიზმარივით...

ვერაფერს იგონებს იმ საშინელი შეტაკებიდან... ერთია მხოლოთ აშკარა და ნათელი... მისს გულში გუზგუზებს ცეცხლი... შემოქმედების უშრეტელი ალ-ნაკადული.

ეს ცეცხლი ამირანმა ჩაუკვესა გულში... ამირანმა გადმოსცა ის ნაღვერდალი, რომელიც ღმერთებს წარტაცა და დღემდი უკრობლათ ინახავდა—მიუხედავათ იმისა, რომ უსრულებელ დროთა დენაში ღრიანცლის ქაოსი ჩამოსწოლოდათ ჩასაქრობათ... გასაცამტვერებლათ.

ეს ცეცხლი იყო მიზეზი, რომ ისედაც ახოვანი, დიადი აკაკი ბუმბერაზათ გადაიქცა... მისმა გულმა ვეღარ დაიტია აპრიალებული ცეცხლი და ვეზუვისავით იფეთქა... შადრევანათ ამოხეთქა ბრინჯაოთ წრთობილმა შემოქმედების ჰანგებმა.

მოილტვოდა მთებიდან მაღალ-გულოვანი აკაკი და ელვის მკვესავ მეტყველებით ძილათ მივარდნილ ბარს გადმოსძახოდა:

„კავკასიის ქედზე არის
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი დახვევია,
დაფლეთია მტკიცე გული.
ქვეყნათ ცეცხლის მოტანისთვის
გულს კეცხლი არა ნელდება,
და, რალაცა მანქანებით,
გული ისევ უმთელდება...
აქვს ზას ჭირში მოთმინება,
არც კვნესის და არც ოხვრიდა,
უსამართლო ძლიერებას
მონურათ თავს არ უხრიდა...

. . . . . .

კავკასიის მაღალ-ქედზე,
მიჯაჭვული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები-კი ყვავ-ყორანი...
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულათ შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!..

IX.

ასე გაალომ-გაამგოსნა ამირანის ცეცხლმა აკაკი.

იგი წინასწარმეტყველისებურ სიმტკიცით და მოგვური სიძლიერით უგალობდა მამულს... თვალის ჩინსავით უვლიდა-ეფარეზებოდა... ულეველი ალერსით ელოლიავებოდა... თვისს სიცოცხლეს „სამშობლოს წინდათ იგულებდა“ და უკვესებდა ბნელში სასოება-იმედს.

მისი დაფი და ნაღარა მარათ გმირებს უყიოდა... მოიწოდებდა „ფეხ-შიშველის, ლეჩაქ-ახდილის“ სანუგეშოთ... საქართველო სატრფოთ ქონდა დასახული და მოწიწებით ჩაჩურჩულებდა:

„ჩემსავით რო შეგიყვაროს, ვინ არი?
ვინ გალმერთოს ციურათ მომცინარი?..“

მართალია, ნაცვლათ იმისა, რო მისს სატრფოს გადაეშალა თვისი გული და სიყვარულით ჩაეხუტებინა ერთგული მგალობელი პასუხათ აგებდა:

„უსამართლობას, მტრობას და დევნას!
ცილის წამებას გულის საკლავსა!“

მარა ეს სრულებით არ აკრთობდა მგოსანს, არ აბოროტებდა...

რა ვუყოთ, თუ ხალხი წელში მოწყვეტილი... გაჯაბნებული... ეს მხოლოთ დროებითია... მათი ბუნება თლად არაა გაუკუღმართებული... დაბერავს განახლების სიო და მათაც გადაეყრებათ გულიდან მტვერი... აუზვირთდებათ გალეწლეჩებული გრძნობები... კვლავ ეუფლება სიმამაცე კაცათ-კაცობის მაშვენი... აკაკის „გულს მუდამ სწამდა და ჭკუას სჯეროდა, რო ჯერ კიდევ არ გამქრალიყო მომავალი ბედის წერა...“

აკაკი იმასაც კარგათ ხედავდა, რო მრავალი სულით მახინჯი თანამემამულე ყოველ დღე ძირს უთხრიდა და მეწყერს ატანდა საქართველოს კეთილ-დღეობას... გულს უჩრჩილავდა ეს... მარა სასოებას მაინც არ უკარგავდა...

მის დიდათ მხედველს თვალებს ამავე დროს არ ეპარებოდა შეუმჩნევლათ ის ახალი ძალა, რომელიც ის იყო ფეხს იდგამდა... მუყაითობა და საქმის თაიუნობა ავიწყებდა ვარამს და იმედით უყვავილებდა გულს...

„აი, ვხედავ საბრძოლველათ
გამოსულა მუშათ ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.
გამარჯვება ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მომავალსა!..
ის ასწორებს დღეინდლების
გამრუდებულს გზა და კვალსა“.

ასე აგულიანებდა და აქეზებდა მგოსანი იმ ახალ ძალას, რომელმაც ლეგენდარული გმირთა-გმირობა უნდა გამოიჩინოს, კაცობრიობა უნდა განაცვიფროს უმაგალითო შემძლებლობით... მომავალი ცხოვრების უბადლო ხუროთ მოძღვრობით...

X.

გადიოდა დრო... ტაატით მიზოზინებდა საქართველოს გამობრუნების საქმე... არ გაისმოდა მტრის თვალის დამყენებელი ჩქეფადუღილი საზოგადობრივობისა... მგოსანიც ხნიერდებოდა... სიბერის დილა უთენდებოდა...

და, ვით შეშვენის ახალ საქმის მოციქულს, გულს არ იტეხდა... იარაღს არ ყრიდა... სწამდა, რო თუ ჩვენი ცხოვრება ზემოდან ასე მდორე, უფერული იყო — გულის სიღრმეში სწარმოებდა მოძრაობა... დუღილი... მართალია ნელი... შეუმჩნეველი, მარა, უეჭველი... აზვირთების... ამთაგორების იმედის მომცემი.

აკაკი კვლავინდებურათ ხალისით აჟღერებდა თვის ჩანგს, რომლის ჰანგები იყვენ „ზოგთათვის ფინთიხი გულისა, ზოგისთვის-კი წყლულის მალამო“...

ივი ტარიელსავით თავ გამოდებით კვლავ ეძიებდა ქაჯების მიერ გატაცებულს ნესტანდარეჯანს და სჯეროდა... მტკიცეთ სჯეროდა, ისე არ მოკვდებოდა, რომ არ ეპოვნა თვისი „სულიკო“.

... და, აი, ერთხელ... როდესაც მგოსანი თვის საყვარულს ადგილას-ნაქალაქარის ნანგრევებზე ჩამომჯდარიყო და გაყურებდა „ჭირში ჩავარდნილს ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ სამშობლო მხარეს“—შემოესმა ნელი... იის ფოთლების შრიალსავით სუსტი წკრიალი.

რა იყო, რა წკრიალებდა ასე იდუმალათ?

ცრემლები, თუ ჰანგები?..

მალე იგინი ოდნავ ამაღლდენ და დაემსგავსენ სუმბულთა კვნესას, რომელთაც ავ-ზნიანმა ღამემ არ დააცალა განთიადის ხილვა და მოსთვლა უწყალოთ.

ეს კვნესა ნელნელა გაიზარდა და ახლა პატიმრის ღრმა კაეშნიან ღიღინს დაემსგავსა... რომელიც შეყურებდეს ტრედის ფერ ცაში ლაღათ მონავარდე ტოროლას და შენატროდეს შებორკილი.

აი, თანდათან დასცხრა ეს ღიღინ-ქვითინი ცრემლების ჰანგებისა... როგორც გარიჟრაჟი კუნაპეტ ღამეს, ისე შეეპარა საგოდებელს იმედიანი, ღიმ-ღამიანი ნოტა... მიიღო სასოებიანი იერი და, აი, უკვე ლაღ, ჩანჩქერსავით კისკასა მოძახილათ გადაიქცა...

ომახიანათ მოისმა აკრიმანჭულებული ცქრიალა ლექსი.

„ვარდი ეკლათ შეიცვალა,
საპატიო გახდა ანწლი
და პურის წილ ითესება
გორვალა და მავნე ღვარძლი!..

მარა, ძმებო, ნუ შევკრთებით!
სასხლავს მივყოთ ყველამ ხელი;
ეკალს ძირი ამოვუგდოთ...
უსამართლო ძლიერებას
საუკუნო არ აქვს ძალი!..
-უძლეველი საბოლოოთ
არის მხოლოთ სამართალი“.

ძნელი იყო გარჩევა, ათიოდე კაცი მღეროდა ამ ლექსს, თუ ასი, ათასი... აურაცხელი...

უგდებდა ყურს აკაკი და, ეგონა, ზღვათ ოდენ ხალხის გულში ამირანი ჩამჯდარიყო და ის ამღერებდა ასე თამამად... ასე გულიანათ...

„კავკასიის მაღალ ქედზე,
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები-კი ყვავ-ყორანი“.
დაიგუგუნა ახალმა სიმღერამ...
ნუ თუ, ნუ თუ ეს ხმები მართლა
ხალხისაა?...
ნუ თუ ხალხი მღერის ამირანის ცეცხლოვან გრძნობით?...

ნუ თუ თავი აუშვია, დაუწყვეტია ჯაჭვები დამონებულს?..

სიზმარში ხომ არაა?..

ჭრელი ჩვენება ხომ არ ატყუებს?..

არა... არა... ეს ცხადია... ხალასი ჭეშმარიტებაა...

ამირანს მართლა აუშვია თავი...

მართლა გადასახლებულა ხალხის გულში და აუზვავებია...

აკაკი ათრთოლდა...

ააზატდა...

მოხუცობისგან დაცრიატებულ-გახუნებული თვალები აღეგზნო... ჭაბუკურ ბზინვით გაუბრწყინდა...

მან იცნო ის მედიდური სიმღერა...

მის ლექსებს... ამირანისგან აღგზნებულს მისს ლექსებს მღეროდა უთვალავი ხალხი და

მას იმეორებდენ მთები... ნაკადი წყარონი... ფრთოსნები... მთელი ქვეყანა...

ყველგან ამირან—აკაკის, დიადი აკაკის სიმღერა გაისმოდა...

მათი სული... მათი ოცნება... მათი ღიმილი გადაქცეულიყო ფირუზ ტალღებათ, წითელ იაგუნდის სხივებათ და ახმატკბილებული ეფინებოდა სამშობლო მხარეს...

და ეს ღიმილი... ეს სხივოსნობა ამირან აკაკისა ისე შვენოდა მათს მამულს, როგორც გარიჟრაჟისას ტუჩ-გაპობილს ვარდს ცის ლალის ნამცვრევი „კრიალა ნამი“.

ამ ზღვა მუსიკაში... სიცოცხლით მჩქეფარ რითმში სხვისი ბგერანიც ერივნენ...

ეს წინაპართა ხმები იყო...

იგინი ჩაწმახოდენ მათ და ერთად... შეხმატკბილებით აკრიმანჭულებდენ სიმღერას აღორძინებისას... სამარადისო გაზაფხულის შერიჟრაჟებისას...

დიახ, არ მომკვდარიყვენ ცისარტყელოვანი წარსულის ჰანგები...

დადუმებულიყვენ მხოლოთ და ახლა იღვიძებდენ საუკუნეთა ბრძმედში გამოწრთობილ-გაალმასებულნი...

მედიდური სიმღერა და აკაკის სასოებაც ფრთებს შლიდა... „მომავალის იმედი ცისარტყელათ ესახებოდა...

მას აღარ აშინებდა მოხუცებულობა...

აღარ ენანებოდა თავი...

მზათ იყო სვიმეონ მიმრქმელსავით ეთქვა: აწ განუტევე მონასა შენსა, მეუფეო...

დ. თურდოსპირელი.

დაუწერელი მოთხრობა.

(ჩუქურთმიდან)

— თქვენ ნაწარმოებს აწი ვეღარ დავბეჭდ....

— რათა, ბატონო რედაკტორო?— გაეღიმა მწერალს.

— არც მე მომწონდა, მარა უკანასკნელ ხანში ხელის მომწერთაგან ათასი საყვედური მომდის, თქვენი ბელეტრისტიკა თლად სიყვარულზეა აგებული, თითქოს სხვა გრძნობა, მიშართულება, აზრი არ ამოქმედებდეს ადამიანსო. მოთხრობა—ლექსი—დრამა, უსათუოდ, ტრფიალსა და მიჯნურობით გამოწვეულ ცრემლებს აგვიწერსო...

— კაცია და გუნება, ბატონო რედაკტორო; მე ერთს ვაკვირდები, მეორე—სხვას რასმე მიაქცევს ყურათღებას.

— შე დალოცვილო, განა თქვენთვის—კი საინტერესო არ არის ადამიანის ყოველმხრივ შესწავლა და დასურათ-ხატება?...

— დიახაც.

— აბა, აგვიწერეთ მკურნალი, ვექილი, მოხელე, გლეხი, თავადი, როცა ისინი, თავის მდგომარეობისა დაგვარათ, ეწევიან მძიმე ტვირთს ცხოვრებისას.

— მარა ეს ჩემთვის ძნელია, ბატონო რედაკტორო...

— როგორც გენებოთ...

რედაკტორი და თანამშრომელი დიდხანს სდუმდენ. რედაკტორი რაღაც ხელთნაწერს ასწორებდა; თანამშრომელი—კი გაზეთს კითხულობდა და პაპიროზს წევდა.

რედაკტორმა ხელიდან კალამი გაიგდო, სავარძელს მიაწვა ტ სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— ოხ, ღმერთო ჩემო, როდის იქნება ქართველმა მწერალმა ქართული შეისწალოს და ის წეროს, რაც ეხერხება!...

მწერალი ისევ არხეინათ კითხულობდა და პაპიროზს წევდა. წინა შენიშვნით ცოტა გულნატკენი ახლა ჯინს იყრიდა და უხაროდა რედაკტორის გაჭირვება.

— წარმოიდგინე, ზეგის ნუმრის დამატებისთვის, აი, ამ მოთხრობის იმედი მქონდა... ავტორი ნიჭიერი ყმაწვილია... ბევრი უნახავს, კიდევ მეტი წაუკითხავს... მოკლეთ დაუწერია... ვიფიქრე, დავბეჭდავ, მეტი რაღა მინდა—მეთქი. მარა, როცა ვაჭრულათ მოვკიდე ხელი—შენს მტერს... ნახევარი რუსულათ არის დაწერილი... ქართული სიტყვები არა სცოდნია, უსათუოდ... ნახევა-

რი მეგრულ -იმერულათ... თან წერს, რაც არ უგრძვნია, და გამოდის უსიცოცხლო ჩონ-ჩხი და არა ხორცსხმული სული... სანამ გავიგებდე, რისი თქმა სურს, გული წამივა და, მერე, ასწორე, თარგმნე, და შემოსე სხეული შესაფერისათ...

მწერალი ისევ უდარდელათ განაგრძობდა პაპიროზის წევას და გაზეთის კითხვას.

— დამიხსენი ერთი — სიჩუმის შემდეგ მიმართა რედაკტორმა მწერალს.

მწერალმა — თითქოს არც — კი აინტერესებდა რედაკტორის სიტყვები — ნელა თავი ასწია და გაფანტული დაეკითხა:

— რა ბძანეთ?

— ერთი პატარა მოთხრობა მომეცი კვირის დამატებისთვის...

— აკი ბძანეთ, თქვენს ნაწერებს აღარ დავბეჭდავო...

— ეჰ, ნუ ამიხირდები... გთხოვ, ისეთი რამ მომეცე, რაშიც არ იყოს სიტყვები: „ტრფიალი, ყვავილი, ბულბული და პირბადრი მთვარე“.

მწერალს გაეღიმა.

— კარგი?

— ვცდი...

— მარა ხვალ ადრე უნდა მომიტანოთ, რომ აწყობა მოასწრონ...

— თუ მოვახერხე....

— შერიგებული რედაკტორი და მწერალი ოთახიდან გამოსვლას აპირობდენ, რო საჭაროთ შემოიჭრა სტამბის შეგირდი და რედაკტორს მოახსენა:

— იოსებმა თავი ჩამოიხჩო...

— რაო? რას ამბობ?

— კი, ბატონო!.. მე თვით ვნახე,

— როგორ მოხდა?

— მუშაობა შევწყვიტეთ. წავედით. ისინი გორდაძის სამიკიტნოში სჭამენ სადილს...

— ვინ ისინი? — შეაწყეტინა ამბავი მწერალმა.

— იოსები და ლიზა...

— ჰო, ასოთ-ამწყობი ქალი?

— დიახ...

— მერე?

— ... ჩვენ ჭუბაბრიას დუქნისკენ გვაუხვიეთ. ლიზაც ჩვენ გამოგვყვა. იოსებმა დაუძახა: „სადილათ არ მოვალო?“ ლიზამ უპასუხა: „მე ამათთან წავალო“... ჩუმათ, წყნარათ დავშორდით ერთმანეთს... ცოტა-კი გაგვიკვირდა — ისინი ყოველოვის ერთად სადილობდენ...

— მერე? მერე?

— სადილი რო გავათავეთ, დავბრუნდით... იოსები არსად იყო. მუშაობაც დავიწყეთ. ქაღალდი დაგვჭირდა. საწყობში წავედი. დავინახე ლურსმანზე თოკით ჩამოკიდებული იოსები. კინაღამ გადვირიე... ვიყვირე... მოვარდენ... ჩამოიღეს... ცივი იყო...

— მიზეზი არავინ იცის?

— ნამდვილი ამბავი... ამბობენ.... რა ვიცი — ბიჭმა თავი ჩაღუნა — ერთად — კი დადიოდენ მუდამ.

კვირის დამატება ვერ გამოვიდა. — თვით გაზეთიც ძლივს დაბეჭდეს. მწერალი ნასიამოვნები იყო გაზეთის საქმის აფუშვით, რადგან ვერ გაახერხა ისეთი მოთხრობის დაწერა, სადაც არ ყოფილიყო „არც ტრფიალი, არც ყვავილი, არც ბულბული და არც პირბადრი მთვარე“.

გაზეთის ქრონიკაში ეწერა, იოსებ გორგაძის თავის ჩამოხჩობის მიზეზი რომანტიული უნდა იყოსო... და პირველ გვერდს გაზეთისას აშვენებდა შემდეგი სამგლოვიარო განცხადება:

ასოთ ამწყობნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ამხანაგის

იოსებ გორგაძის

უდროოთ და ტრაღიკულათ გადაცვალებას.

ნ. ლორთქიფანიძე

საღდგომო კაბა.*)

(დასასასრული).

VI

მართა არა სახუმრო სიამოვნებას, თვალი სეირს და უფრო—კი სარგებლობას მოელოდა დღეობისგან. მუდამ ჭრელი ოცნებებით გაბრუებულს, არც აქ შორდებოდა შემაქცევარი სტუმრები: გადადიოდა ერთიდან მეორეზე, მესამეზე და უფრო ის ატკბობდა, რო ცირუს თვალს მოკრავდა ვინმე შეძლებული კაი ბიჭი, მოიხიბლებოდა, შეიყვარებდა, შეირთავდა და მტერს თვალი დაუდგებოდა!... მერე?— მერე, მართაც ხო ბედნიერი იქნებოდა: მიატოვებდა დამსებულ ოჯახს, გააგდებდა გულჯანგიან ქმარს, თან გაყვებოდა ცირუს და შეძლებულ ოჯახში სიამით გაატარებდა დარჩენილ ცხოვრებას!... სიძეს, რომელსაც აჩუქებდა მომხიბლავ მზეთუნახავს, მოთხოვდა თუ ამას, თუ იმას, უფრო—კი ტანისამოსს, პირის გემოს, გავლა—გამოვლას, რასაც მოხთენილათ შეიშვენებდა და, თუ რამეს დააკლებდა სიძე, შეიძლებოდა ყურიც ამოეწია და სხ... ასეთი ოცნებით თავბრუ დასხმული მართა, ანგარიშ მიუცემლათ, შეიჭრა ურიის დუქანში და რაღაც ჩითები მოითხოვა. მოუღლელი, ვაჭრობის დროს, მისი ეშხით მუდამ გატაცებით მოუბარი ებრაელი, მართასაც ისე შეხვდა, როგორც ასს—ორას იმ დღეს შემოსულ მუშტარს. თითქო ჯერ ხმა არ გაუცია მუშტრისთვის და სურს მართაზე იყაროს ჯინი, თავისებური ვაჭრობით გული შეიჯეროსო, მივარდა ახალ მუშტარს და დაუწყო ქაქანი, ჯერ ლაზათიანათ გამოატვინა, შემდეგ ჩააბარა რაღაც ნავაჭრი და გაისტუმრა. დუქნიდან გამობრუნებული მართა დიდხანს არ მოსულა გონს. იგი ხედავდა, რომ ეჭირა რაღაც ქაღალდში გამოხვეული, მარა სრულიათ არ აგონდებოდა, რამდენი დაუთვალა ებრაელს. ცოტათ როგონს მოვიდა, დათვალა დანარჩენი ფული და ეცოტავა, შევარდა ისევ ურიასთან და გამოუცხადა, რომ არ აღმოაჩდა იმდენი ფული, რამდენიც უნდა ქონოდა! ურია სიცილ—ხუმრობით შეეგება გაწიწმატებულ ქალს და სიტყვა ბანზე აუგდო. მარა შეატყო, რო მართა არც ისე ადვილათ ცხრებოდა, იხმარა ვაშკაცობა და კარში გააძევა ჭინჭყლიანი დედაკაცი... მწარენაგემებ მართას მოესურვა, რო მისი ჭირ—ვარამი ვინმესთვის გაეზიარებია და სწორეთ იმ წამს მოაგონდა, რო ცირუ მასთან არ იყო, იწივლა და ჩაიკეცა...

— რა დეგემართა, ქალო, რა მოგვიდა, ხომ არ გაგიჟდი!!— შეძახა უცებ მის წინ გაჩენილმა ნესტორამ და წამოაყენა.

— ნესტორა!... დევიღუპე... ცირუ!... ძლივს თქვა საცოდავმა და თვალები ცრემლით აევსო...

— ცირუ, ეგერ არის, ხომ არ შეგიჭამდენ?

— სად? ა—, სად? —გიჟურათ შეეკითხა უბედური მაცდურს ნესტორას.

— ეგერ, დუქანში დავტუე. შენ აგცთენოდა და შეწუხებულმა მთხოვა მემეძებნე, მარა საცხა მიწა გაიგლიჯე, შენს მოძებნას საშველი არ დაადგა. მერე, ისიც მოსაძებნი არ გამხთომოდა, ნაცნობის დუქანში დავტუე და რახანია შენ დეგეძებ!... ვინ მოძებნის აქანა ქალს? არ ხედავ, რა ამბავია!... წამოდი, გიჩვენებ.

ცოტათ გულმობრუნებული მართა გაყვა ნესტორას, რომელმაც გააცურა ის ზღვასავით მღელვარე ხალხში და კარს მიაყენა ერთს მიკიტანს.

— აქ ერთი გოგო მევიყვანე წელან, რეიქნა, თუ იცი, — მზაკვრულათ შეეკითხა ნესტორა მიკიტანს.

— ვისი გოგოა?

— აქანე, რო მევიყვანე წელან!

— გიჟი ხარ, ვიცხა ხარ! — შეუტია მიკიტანმა ნესტორას,—ახლა იმისი დრო მაქვს მე, რო გოგოები ვათვალიერო?! თუ მეიყვანე, რატო მაშინვე არ წეიყვანე! თავს თუ ვერ მოუვლიდა, ისეთი გოგო, რას მოდიოდა აქ! წადით, მომშორდით, არ ხედავთ, რა

*) იხ. „განთიადი", № 10.

ხალხი მახვევია! სად მცალია თქვენი სამუსაიფოთ?! წადით—წადით, აქ არავინ გოგო არ არის, ბაზარში იქნება, საცხა!

უსიამოვნო სტუმრები მოშორდენ სამიკიტნოს... ნესტორამ ანუგეშა გულშემოყრილი მართა; დაპირდა, რომ ის მოძებნიდა ცირუს, გაშორდა და მხიარულათ შეუერთდა ბრბოს, თითქო ჭიანჭველაზედაც ფეხი არ დაუდგამსო.

ხალხი ყოველგან ბუზივით ირეოდა. ქუჩებში ტევა არ იყო, სასუნთქი საკრავები მიდამოს აყრუებდა, დაფა—ზურნა ხალხს საჭიდაოზე იწვევდა... ერთის სიტყვით, ბევრ-რამეს შეეძლო მართა გაცვიფრებაში მოეყვანა, მარა მას ამისთვის არ ცხელოდა! მას იმედი გაუცრუვდა: ნაცვლათ უზომო მხიარულება—სიამოვნებისა, რასაც მოელოდა დღეობაზე წასვლით, მწარე ნაღველი შეჭამა... აგერ, მზე გადიწვერა და ის ჯერ კიდევ შიმშილისგან კუჭგამოიმწვარი უხეიროთ დაეხეტებოდა, გულში მთელი საკრეაგზნებული... საღამომ მოატანა. შორებლები, ზოგი წასულიყო, ზოგიც წასასვლელათ ემზადებოდა და სწორეთ დროც იყო. მართასაც მოეგონებია წასვლა, მარა შეეძლო-კი მას ამაზე ეფიქრი?... დაბოლოს, როგორც სულიერათ და ზნეობრივათ, ისე ფიზიკურათ და შიმშილის გამოც ძალზე მოღლილ—მოქანცული მართა დადგა ბულვარის წინ და უიმედოთ გაიხედ—გამოიხედა, რომ უცებ თვალი მოკრა ცირუს. ის შურდულივით გაექანა მისკენ და, რო მიუახლოვდა,—ელდა ეცა! სად იყო შვენიერი ცირუს აჩდილიც? თურაშაულივით ბზინავი ლოყები ჩაყვითლებოდა, სახე განაცრისფერებოდა, თმა ზღარბივით აბუძგნოდა და ნამტირალევი თვალებიდან მშრალათ გამოიყურებოდა...

— შვილო, ამას რას ხედავს ჩემი თვალები? სად იყავ, შვილო? რა დეგემართა, შვილო? — სასოწარკვეთილებით ეკითხებოდა გულდამწვარი დედა, უფრო გულდამწვარ შვილს. მარა ცირუს, თითქო არაფერი ესმისო, ხმას არ იღებდა; ის რაღაც ეჭვიანათ შეცქეროდა მართას და თვალს არ აშორებდა.

— ცირუ, შვილო!— იწივლა დედამ და ჩაავლო ხელი შვილს. ცირუ შეკრთა და მოვიდა გონს.

— შენ ყოფილხარ? სად იყავი, შე უბედურო დედა?— ძლივს წარმოთქვა ცირუმ და ნაკადულივით ჩამოუშვა ცრემლები...

მართა მიხვდა, რაც ამბავი იყო მის თავზე და წარმოუდგა აზრი: ეკივლა და შემწეობა ეთხოვა, მარა ისევ თავი შეიკავა; იფიქრა, რომ ამ დასამალავი საქმის გამჟღავნებით ვერაფერს მოიგებდა და ქვეყანას გააგებიებდა იმას, რაც ორმა—სამმა იცოდა და გაკმიდა ხმა.

— წამოდი, შვილო, აქით წამოდი,— მწარეთ უთხრა დედამ შვილს და გააპირა წასვლა.

— არა, დედა, მე აქიდან ვერ წავალ; აქ უნდა მევიკლა თავი,— უფრო მწარეთ უთხრა შვილმა.

რას ქვია არ წამოხვალ! ახლავე წამოდი, თვარა შენზე უწინ მე მევიკლავ თავს. ბეჯითათ უთხრა მართამ და მკლავში ჩაავლო ხელი ცირუს.

ცირუ დანებდა. საღამო იყო, როცა ისინი გაშორდენ ბულვარს, წყევლა—კრულვით დატოვეს დაბაც და გაუდგენ მათი სოფლის გზას... კარგა ხანს იარეს გულჩათუთქულებმა ვიშითა და ტირილით... მტანჯველი აზრების გამო, სასოწარკვეთილ ცირუს გონება არეოდა და უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილს, ერთად—ერთი ხსნის გზა თავის გამეტებაში ეპოვნა. მას მტკიცეთ გადაეწყვიტა, რომ იგდებდა, თუარა ხელთ მარჯვე დროს, თავზე ხელი აეღო და ამ უკიდურესი ნუგეშით ბრუნდებოდა საღამოს იქიდან, სადაც დილით აღტაცებით მიფრინავდა ჯანით და სიცოცხლით სავსე, ბედნიერი ქალიშვილი... მართას მდგომარეობაც ნუგეშს ითხოვდა. მარა, არათუ არავინ ახლდა მანუგეშებელი, არამედ სანუგეშებელიც ჩავარდნოდა ხელში, რაც ზედმეტ ნაღველს იწვევდა მის გულში... კარგა ხნის მწარე მდუმარების შემდეგ, დედამ გონება მოიკრიფა და იმედიანი სიტყვებით მიმართა შვილს:

— გულს ნუ გეიხეთქ, შვილო, რეიზა

დეგემართა, თვარა მაგისანებიზა ახლა ვინ შეგიწუხთება? ახლანდელი ქალიშვილებიდან ორიც არაა შენახული, მარა...

— ნუ მეუმბები, დედა; შენ კიდო გულს ნუ მომიკლავ, შე უბედურო!—გააწყვეტია სიტყვა ცირუმ და გული აუჩუყდა.

— ჰო, ახლა გადირიე შენ!... მე დედა არავარ შენი?... შენი ხელა ქალიშვილები...

— არა დედა—არა,- ისევ გააწყვეტია სიტყვა ცირუმ,—მაგით ნუ მანუგეშებ შერცხვენილ ქალიშვილს! ღატაკი მამის შვილს უბიწოებით მომწონდა თავი, მხოლოთ ერთს იმას ვაფასებდი ჩემში... რო ტრედივით მართალი და უმანკო ვიყავი...ახლა ისიც წამართვეს... წამართვეს და, როგორ წამართვეს ურჯულოებმა?... ახლა ვინ არ იცის ეს?... ცა და ქვეყანა ჩემს ამბავში იქნება...—ვერ მოათავა ცირუმ სიტყვა, რო ტირილიც წასკდა...

— უი,—შვილო! რას მეუმბები?... შენ ახლა, ეჭვი გატყუებს, შვილო! იმხელა ხალხში რაცხა მოხთა, იმას ვინ გეიგებდა? მარტვა ჩვენ—კი არ დეგვემართებოდა ეს; ქვეყნის კაცი და ქალი იმ დასაქცევში ეყარა და იქ, რა ამბავი მოხთებოდა, ვინ იცისო. მარა, რამოდენი გევიგონეთ ჩვენ?... ისე გეიგონებენ ჩვენსა... მე დამიჯერე, შვილო, მე...

მართამ უცებ შესწყვიტა ლაპარაკი, რო ტუტუ დაინახა.

— ქალო, რას დოურჩით ამ შვალამემდი? — უსაყვედურა ქმარმა ცოლს.

— შენს სიკვდილს, შენს არ მორჩენას, მიახალა ცოლმა პასუხი; შენ რამ გაგამარჯვა ამალამ, შე გულმკვდრის შვილო, რავა ქაჯს გავხარ?!

— რას ქვია, რამ გამამარჯვა! ჩვენები არცერთი არ დარჩენილა, ყველა მევიდა და თქვენ რას უდექით იქ? ის კი არა და ნესტორამ გადამრია: „ცირუ დეიკარქა და იმის მოძებნას საშველი არ დაადგაო.“—მერე, რა გამაჩერებდა? ბაღნები უპატრონოთ დავყარე და ნახევარი კბილები არ გარამყოლია, ისე გამეიქეცი! ფარსაკი რამე არ მეგონა!

— შენ კი გაგიხმა ის ოხერი თავი! კბილები როუყავი, შე პირუტყვის ჩამომავალო?... ,,გედიკარქაო“— კი არა სამბოლში წევიდაო, შენმა სიცოცხლემ!... ჩემი დიშვილი შეხვედროდა—ძიაბუ და იმას წეეყვანა ტანციაზე, მაშინის საჩვენებლათ...

— მერე, რას ყრალობ, ქალო? კაი ვქენი, მეგონა და არ მოგიხთა კაი?

— ისე კაი მოგცა ღმერთმა, შენ რო კაი ხარ, ან რამეს ვარგიხარ!... ,,სად იყავითო?“— შენი გამოგზავნილი ფალიტონს დაგვიანებოდა და იმას დოვურჩით, შე სამოწყალო!... შენისანა საძაგლის ცოლ—შვილს რა გაახარებს? რეიზა მოგცა ღმერთმა შენ ცოლ შვილი?... ფეხები მემექცა სიარულით, დაღალულები ძლივს მოვლოლავთ, ლაპარაკი გვიჭირს ისე დევიზოცეთ და ეს კიდო მეუმბება: — ,,იქ, რას უდექითო?“ —მაგი, რავა არ იცი, შე თვალდამსებულო, რო შენი ცოლ—შვილმა ყოველთვის უნდა იტიროს შენი დღე!...

— რას იგანჭები, ქალო, ამელამ? გზაზე ხომ არაფელი გიპოვია! სიტყვას რო არა კადრულოფ, ვითომ რაო?... ფალიტონით, ბარე, ორი არ წამოსულა, მარა სუყველას მოაგონდა სახლი!... მე შეგეხვეწე წასულიყავი, თუ რავაა შენი საქმე?!

გული მომიკლა ამის ტიტყინმა! ენა ჩეიგდე—მეთქი, შე გასაქვავებელო და არ მოსარჩენო, თვარა შენ—საქმეს სალაპარიკოთ გავხთი—მეთქი დღეს!...

ტუტუმ, მართლაც, გაკმიდა ხმა; გაშორდა ცოლ—შვილს და წინ და წინ გაეჩქარა შინისკენ... დედა-შვილმა კი გააგძელეს გაწყვეტილი ლაპარაკი... მართა ძალიანს ცდილობდა, რო ცირუს გული გაეფერა უეცრათ მოცხებული ჟანგისგან, მარა ის სასოწარკვეთილებითი ნაბიჯი, რომელიც ბეჯითად გასდგა ცირუმ თავის განწირვისკენ, ნაბიჯადვე ჩარჩენილიყო მის მოკლულ გულში.

XII

ერთ საღამოს, მიხელი კონწარიას კიდევ სტუმრებოდა ჩვენგან კარგათ ცნობილი სანდრო სახათია, რომელიც მთელი ოჯახის სამ-

ხიარულოთ, ხშირაო დაიარებოდა მიხელის სახლში. მიხელი და სანდრო ჩამომჯდარიყვენ ოდის წინა აივნის ბოლოში მიჭედილ ფიცარზე და ჩვეულებრივ, მამა—შვილური საუბარი გაეწყოთ. სანდროს არ უყვარდა უბრალო და უმნიშვნელო დროს დაკარგვა, რაც მიხელსაც ზედმიწევნილათ მოსწონდა. ის მაშინვე ცხოვრებაზე დაიწყებდა ლაპარაკს და ახლაც სწორეთ ამ სათაურით დაიწყო მსჯელობა. ყურთასმენათ გადაქცეული მიხელის ცოლ—შვილიც შორი—ახლო იჯდა და სიამით შესცქეროდა მოსაუბრეს... გავსებული მთვარე, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მეფურათ გამოჭიმული, უხვათ ფენდა ნათელს ამ ერთი მეორის მოყვარულ ადამიანებს და ზაფხულის საამო სიოც გულს ულხენდა მათ...

— იცი, ჩვენი ტუტუ თლად ამოწყდა ახლა,— წყენით უთხრა მიხელმა სანდროს, როცა საკმაოთ მოისაუბრეს სხვა და სხვა საგნებზე.

— ვიცი—ვიცი და ძალიან მწყენია სწორეთ,— სხვისი ტკივილისადმი თანა გრძნობის ამძვრელი კილოთ უპასუხა სანდრომ.— აკი გითხარი: ქალს ოჯახის ადგენაც შეუძლია და დაქცევაც—მეთქი... სანამ ისინი ერთი მეორეს ცოლ—ქმრობს, მათი კეთილდღეობა და წინ წაწევა ყოველათ მოუხერხებელია!... საბძელში რო ცეცხლი შეაგდო, უბედურობისგან თავის დაწევა დიდათ ძნელი საქმეა!... საცოდავი მართაც ცეცხლია... და უბედურობაც ის არის, რო გაუქრობელი ცეცხლია... საბრალო ტუტუ!... როგორ არის ახლა ი გოგო, თუ იცი?

— ისე მტერი გიმყოფოს ღმერთმა! არ ჭამს, არ სვამს, ჩხირივით გახმა იმ ხელა გოგო. კაცს არ ეკარება და ქალს; არ შეიძლება სახე ვინმეს უჩვენოს; ან, რა კაი სანახავია, თუ იცი? სახეზე თლად დამუწუკებულია და პირიც გამოჭმული აქვს... ამბობდენ, და, არ მეგონა, თუ ამდენათ კაცის შემაჩვენებელი იყო ის წყეული ავი სენი! მტერსაც ნუ შეყაროს ღმერთმა, ის არა წმიდა!

— არავინ წამლობს?

— რა წამლობა მოუხთება აწი იმას? სანამ თლათ არ შოუჭამია, არ გოუმხელიათ და, როცა გოუჭირდათ, მერე—კი იწრიალეს და ვიცხა—ვიცხეები მოუყვანეს. მარა ვის შეუძლია აწი იმის მორჩენა? ან, სადა აქ ტუტუს იმის წამლობას, რო უნდა იმდონი ქონება? ახლა მაინც თლად დალეულა საწყალობელი, ტანზე სულ არ შეეხედება, თურმე—ერთათ დამპალი არიო.

— საწყალობელი, რა კაი გოგოიყო!

— კაი იყო და კიდო რავალი კაი! მარა ვერ მეიხმარა, ბატონო, გადირია და, აბა, რა დაემართებოდა?!

— ეჰ! ის რაშუაშია, საბრალო? თუ გადარევ, ბრიყვი და ბავში კი არა, ჭკვიანიც გადირევა! ის არ იყო წასახთენი გოგო. მარა დალპა დედამ. ჰაი—ჰუით გაკეთებული არაფელი არ ვარგა... ყოველიფერს თავის საზომი აქვს და, ვინც ზომას გადააჭარბებს, კისერსაც მოიტეხს. უზომობა არაფელში ირ ვარგა და ჩვენი ხალხი უმთავრესათ მითია დაღუპული, რომ არაფლის ზომა არ გააჩნია: თუ დაეცა, ისე დაეცემა, რო მტვერსა და ტალახში არ გამოჩდეს და, თუ ადგა, ისე ადგება, ქვეყანაში არ დაეტიოს!... მართას ამბავმა მთელს სოფელს უნდა ასწავლოს ჭკუა, მთელს სოფელს...

— იმას რო ჭკუა და განაჩენი ქონოდა, საალდგომოთ რო ხარები დაკარგა, ის არ უნდა დავიწყებოდა დიდხანს. მარა სულაც არ შეწუხებულა იმაზე, მეორე თვეს ეიკვინტილა გოგო და წევიდა № ში!... სახლიდან რო გარავა, შინ დაბრუნებას ვერ მიხვეთბა იმისანა ქალი, უჭირისუფლოო რო წარატუნდა იმხელა დღეობაზე, რა ხეირი უნდა ენახა, შენი ჭირიმე?!

სანდროს ამაზე პასუხი არ გაუცია... მას ახსოვდა, რო მიხელი გააჯავრა, როცა მან ტუტუ დაიცვა, რომელსაც მიხელი სასტიკათ გმობდა უთაობისთვის და უფრო იმიტომ, რო ცოლის მოთხოვნილებათა შებოჭვა ვერ მოეხერხებია... ახსოვდა ისიც, რო მან მიხელს აჯობა მსჯელობაში, დაარწმუნა, რომ ის შორს არ იხედებოდა, ჩაიყვანა ტუ-

ტუს მდგომარეობაში და შემწეობაც მიაცემია. მარა ახსოვდა ისიც, რო მიხელის გაჯავრებათ დაუჯდა, რაც ნოხდა მისი სურვილის წინააღმდეგ,—რაღაც გატაცების გამო... ახლაც უნდოდა ეთქვა, რო მიხელი მართალ შესახებაც სცდებოდა, უნდოდა დაერწმუნებია ის, რო მართაში ცხოვრობდა ერთგვარი მხეცი და საჭირო იყო პირველათ ამ მხეცის ამოღება მიზანში—მოკვლა და არა პირათ მართასი, რომელიც სრულიათ უდანაშაურო იყო თვის მოქმედებაში. მარა მოერიდა ხელმეორეთ მიხელის პირდაპირ გაჯავრებას, ვინაიდან იცოდა, რომ ის არ აპატიებდა მას პირათ მართას დაცვას, მწარეთაც გამოეკამათებოდა და ამიტომ იყო, რო სანდრომ მსჯელობაში შორს გაიტყუა მიხელი მიხვეულ—მოხვეული გზით...

ბევრში კიდეც დათანხმდა, რითაც უნდოდა ვიწრო ორღობეში შეეტყუებია. იქ მაგრათ, მარა შეუმჩნევლათ - კი აედვა მისთვის აღვირი და ამ სახით შემობოჭვილი გამოეყვანა ფართე მოედანზე და ეთქვა:—შეიგენ, რო, საზოგადოთ, ადამიანი საცოდავია, არაფერში ის დამნაშავე არ არის და, ვისაც სურს ადამიანი გაასწოროს, პირველათ უნდა მოკლას ადამიანში დაბუდებული მხეცი და არა თვით ადამიანი... უნდოდა ეთქვა, უდიადესმა ურიასტანის მოძღვარმა - სწორეთ ამ აზრით გამოთქვა: „ნუ განიკითხავთ სხვისა ცოდვასო,“—მარა არ დასცალდა... სანამ ის გულის წადილს შეისრულებდა, უცებ მოისმა ქალის კივილის ხმა... ყველამ ყური სცქვიტა... კივილი მოისმოდა ტუტუს სახლიდან, რომელსაც შეუერთდა ტუტუს ბღავილიც. ეჰვი არ იყო, რო ტუტუს სახლში უბედურება ტრიალებდა... მიხელი საჩქაროთ გაექანა, საიდანაც კივილ—ყვირილი მოისმოდა და, ცოტა ხნის შემდეგ, მოიტანა ამბავი:—„ცირუს საწამლავი მიუღია და ტანჯვა—წვალებით დალია სულიო.“

კირილე წუთისოფელი.

11 მარტი 1915 წ.
სოფ. სორტა.

ბრწყინვალე მომავალისკენ*).

(გაგრძელება)

დაუძახეს მეთარეს

ისმაილ ბეგ! მოდი, გეთაყვა, აქ დაჯექ და, აბა... შენებურათ, ძველებურათ! მეთარე სუფრის შორი-ახლო დაჯდა. მან მწუხარე სახე მიაპყრო შორეულ მთის წვერს, აიღო წკირა, ჩამოკრა სიმებს და აკვნესდა, ატირდა თარი. თარის ამ სევდიან ზუზუნზე გაისმა სპარსული ბაიათი. ამღერდა ვახტანგ ამირეჯიბი. ბაიათს-ბაიათი მოყვა, ბაიათებს—შიქასტები.

დიდხანს იმღერა ამირეჯიბმა. მას მთელი საათის განმავლობაში მოხიბლული ყავდა ბაბოს სტუმრები და, ბოლოს, როცა დაიღალა ვალიდას თხოვნით ერთხელ კიდევ შემოძახა:

ტიროდააა მარო
ტიროდააა მაროოო
შავი ცრემლებით
ტიროდააა მაროოო...

სიმღერას მოყვა ვახტანგის სადღეგრძელო. ზურნა! ზურნა!—დასძახა ლევანმა. სუფრასთან მოგორდა სამი გაბერილი ტიკი: გენო, შაქრო და აღალო.

— აბა, ბაღდადური!—უბრძანა მათ ლევანმა და, თანვე, ოდნავ გასაგონი ხმით გადულაპარაკა:—აი ისე... ნელა, ნელა! იცით? ორთაჭალის ყაიდაზე: დუდუნ-დუდუნით - აზუზუნდა ზურნა, ადუდუნდა დოლი და მკლავებ გაშლილი სერიოჟა გრაციულის რხევით გაცოცდა მწვანე მოლზე. ის სრიალ-ცურვით უვლიდა წრეს. მარჯვენა ხელით თეთრ ცხვირსახოცს აფრიალებდა. მწყობრ ტაშის ხმაზე რითმიულის რხევით, ხან ცერებზე დგებოდა, ხან ქუსლებს ჩაუკრავდა, ხან ბუქნას დასცემდა და, ჰაერში შეხტომის შემდეგ, წელ გადაზნექილი ისევ ცოცვას განაგრძობდა.

— ლეკურიიი!. გაისმა ლევანის ხმა.

ზურნამ ჭიჭყინი ატეხა, დოლი აბრახუნდა და სერიოჟაც შეხტა. შეხტა ისეთი სისწრაფით, რომ ვეფხი გეგონებოდათ.

*) იხ. „განთიადი“, № 8.

— ყოჩაღ, სერიოჟა!

— დიდებულათ არ ცეკვავს?!—ამბობდენ სუფრის გარშემო. სერიოჟას როდი ესმოდა ეს სიტყვები. ის განაგრძობდა ელვასავით სწრაფ დავლურს და ბუქნას-ბუქნაზე გადადიოდა. გულდამწვარი ბაბო თვალს არ აშორებდა თავის ვაჟს და ნაღვლიანი ხმით ამბობდა:

— Бѣдный, бѣдный мой Сережа! Какъ мнѣ его жаль!.. Какъ мнѣ его жаль! ღმერთო, რა გამაძლებინებს უმისოთ-ო.

ბაბოს სტუმრები კი სიამოვნებით უმზერდენ სერიოჟას მოხთენილ ფეხების სრიალს. თამაში შეწყდა. დაღლილ—დაქანცული და ტაშის ცემით უხვათ დაჯილდოებული სერიოჟა ისევ სუფრას დაუბრუნდა.

— ბატონებო!—გაისმა თამადას ხმა,—სულით და გულით მინდა დავლიო ჩვენი სერიოჟას სადღეგრძელო! ბედნიერია კნეინა ბაბო, რომ ასეთი შვენიერი ვაჟი ყავს! ეჭვი არაა, ეგ ყმაწვილი გაამართლებს ჩვენს მოლოდინს და სახელოვან ოჯახის ღირსეული შვილი შეიქნება. ამის თავდებია მისი რაინდული გარეგნობა და ბრწყინვალე მომავალი!... აი, სწორეთ ამ მომავალზე მსურს ორიოდე სიტყვა ვთქვა და, ვშიშობ, გძელი ლაპარაკით თავი არ მოგაბეზროთ. ბატონებო! ჩვენი წოდება, როგორც მოგეხსენებათ, მეომარი წოდება იყო. მტერი რომ აოხრებას დაგვიპირებდა, ჩვენ გამოვდიოდით მამულის დამცველათ, ვიხოცებოდით და სისხლით ვრწყავდით სამშობლოს არე მარეს!

განგებამ ასე ინება: ვაჭარს არშინი მისცა, გლეხს-გუთანი და თავადიშვილს ბასრი ხმალი! განა ძვირფასი არ იყო ეგ რაინდული ხანა? რა ვუყოთ, რო ბევრი უბედურებაც გვინახავს! გაჭივრება კაცს აფოლადებსო, ნათქვამია. და ჩვენი წოდებაც ხო ფოლადი იყო წარსულში—ისეთივე ბრწყინვალე და უდრეკელი, როგორც ფოლადი? დღეს-კი ამ ბრჭყვიალა ფოლადს ჩვენი დაუდევრობით თანდათან ჟანგი ეკიდება. თანდათან ქრება ჩვენში რაინდული სული. სად არი ხსნა? სად ვეძიოთ წამალი?..

ლევანმა აქ წამით დაისვენა, გულჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაფრიალა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და კვლავ განაგრძო:

ჩემი ფიქრით, თუ გვინდა შევინარჩუნოთ ძველი ძალა-დიდება, თუ გვინდა გადაგვარების გზას ავცდეთ—უნდა აღვზარდოთ ძლიერი მხედრობა. ეჭვი არაა, სამხედრო მეცნიერებაში დიდ უნარს გამოიჩენს ჩვენი ბრწყინვალე წოდება. ამიტომ ქების ღირსია კნეინა ბაბო, კარგ მაგალითის მოცემისთვის. დეე, სხვებმაც მიბაძონ ამ გონიერ საქციელს. ჩვენკი, ვუსურვოთ ჩვენს სერიოჟას ბედნიერი გზა და ბწყინვალე მომავალი. ალავერდი თქვენთან!..

სერიოჟა თავჩაქინდრული ისმენდა ამ სიტყვებს.

— ალავერდი!

— იახშიოლ!

წამოიძახეს აქა იქ. სუფრაზე დატრიალდა ვეკხლის აზარფეშები და ერთი უზარმაზარი ყანწი. დაღამდა... სანთლები აანთეს...

ყანწ-აზარფეშებით ღვინის სმამ თვისი ქნა: ზოგს ენა დაუბა, ზოგი აამეტყველა, ზოგს-კი, როგორც მაგალითად, ლამაზ ულვაშებიან ტიტიკოს, წარამარა სეირნობის სურვილი მოგვარა.

— რაღაც ხშირათ დასეირნობთ, ყმაწვილო, მგონი ღვინოს გაურბიხართო!—შენიშნა თამადამ ტიტიკოს და ერთი ისეთი „სატალახო“ მიართვა, რომ იმ წუთიდან ტიტიკოს ადგილიდან ფეხი არ დაუძრავს. ის გაყუჩდა, გაინაბა და რეტ დასხმული მხოლოთ ერთ რამეს ნატრობდა: ღმერთი არ გაწყრომოდა და სირცხვილი არ ენახა ამდენ ქალებში. ღვინოს-კი სვამდენ და სვამდენ. აზარფეშები წამისწამ იცლებოდენ, ყანწი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ცა ვარსკვლავებით აინთო, მთვარემაც ამოაშუქა და ბაბოს შვენიერი ეზო თეთრ სხივებში გაეხვია. ნელი ნიავი ზანტათ არხევდა დღის სიცხისგან ჯერ კიდევ თბილ ჰაერს. მთვარიან ღამეების ეგ ხშირი სტუმარი დრო გამოშვებით წამოიშლებოდა მთის კალთებიდან, შემოშრიალდებოდა ბაბოს ეზოში და ცაცხვის

ტოტებში ქურდულათ შეპარული რაღაც გაუგებარ ზღაპარს ჩურჩულებდა. და ფოთლების ამ ნელ შრიალზე, სუფრის გარშემო ნაზათ ირხეოდენ შავი ლანდები..

სერიოჟა უეცრათ დადინჯდა, თავჩაკიდებული რაღაც გამოურკვეველ ფიქრს მიეცა და ოფლით დაცვარულ მის ვარდისფერ სახეს საშინელი გაჭივრება დაეტყო. —ვერ დაგიჯერებთ, ვერა, თავადო, კოტეს სადღეგრძელო თქვენ არ დაგილევიათ!—ეუბნებოდა ლევანი ქაიხოსროს. ქაიხოსრო ხუმრობით ცდილობდა ღვინით სავსე ყანწი თავიდან აეცილებია, მარა არაფერი გაუდიოდა.

ამ დროს, თითქო ღრმა ფიქრიდან გამოირკვაო, სერიოჟა ისარ ნაკრავივით ზეზე წამოხტა, სუფრას ზურგი უბრუნა და ჩქარის ნაბიჯით სახლისკენ წავიდა. გაცხარებული ღვინის სმა იყო და ქაიხოსრო მაინც ისე სიტყვამახვილობდა, რო საერთო სიცილის დროს სერიოჟას გაპარვა ბევრისთვის სრულიათ შეუმჩნეველი დარჩა. მხოლოთ, კოტა ხნის შემდეგ, კნეინა ბაბომ ჩუმათ გადულაპარაკა გვერდით მჯდომ სტუმარს:

—ვალიდა გენაცვალე, წადი, ნახე ჩემი სერიოჟა! მგონი, ღვინომ აწყინა... ნახე, გეთაყვანე, და შენებურათ დააყვავილე. მე რო მივიდე, ეწყინება. უიმე, ღმერთო მომკალი, ავათ არ გამიხდეს!..

ვალიდა ადგა... ქაიხოსროს ყანწი დააცლევინეს, ლევანმა-კი ახალი სადღერგძელო წამოიწყო...

სერიოჟამ ძლივს მიაწია სამზარეულომდი. თავბრუ დასხმული ყმაწვილი მიეყრდნო სახლის მაღალ კედელს. პირის ღებნება დაუწყო.

მაყვალამ ჯამთასით წყალი მოურბენინა. სერიოჟამ კვნესით და „ვაი დედას“ ძახილით ტუჩები მოიბანა, პირი გამოირეცხა და, ოდნავ გონს მოსული, ოთახისკენ წაბაჯბაჯდა. დაწოლა უნდოდა, მარა დახეთ უბედურებას! ლოგინზე გაშხლართულ ყმაწვილს სისხლი თავში მოუგროვდა, ისევ ბრუ დაესხა და გაუგებარ ენაზე ბოდვა დაიწყებინა. ის უძრავათ იდო ლოგინზე და, დრო გამოშვებით, როცა გონს მოდიოდა, ეგონა, თითქო უძირო ხრამში გადავარდნილი თავქვე ჯოჯოხეთისკენ მიქროდა.

— ააა! სერიოჟას გაუმარჯოს! როგორ ხარ, კაცო? უკვე დაწექი? აი, კავალერიც ასეთი უნდა!

სიცილი დააყარა მას ლამაზმა ვალიდამ, რომელიც ესეც იყო ოთახში შემოვიდა და სერიოჟას თავზე წამოადგა.

— უი, უი! რამდენი ოფლი გაქვს!. ლოყები ცეცხლივით დაგწითლებია!. წამოჯექ, წამოჯექ, გენაცვალე! ეშხიანის ღიმილით განაგრძობდა ვალიდა. სერიოჟას აღარაფერი ეხმოდა, თუმცა თვალები ღია დარჩენოდა.

ვალიდა ლოგინზე ჩამოჯდა.

— კრრრ... კრრრ!.. შემოისმოდა დაღებულ ფანჯრებიდან. ოთახში შიშის მომგვრელი სიჩუმე ჩამოვარდა.

ვალიდამ, ალბათ, სერიოჟას გამოფხიზლება მოინდომა და ამისთვის უფრო ენერგიულ ზომებს მიმართა: ყმაწვილი თავისკენ მიიზიდა, ამოიღო ოდეკალონის სუნით აჭკნორებული ცხვირსახოცი და ყმაწვილს სახეზე გადუსვა. მაინც ვერ გამოაფხიზლა. მერე ტუჩებში კოცნა დაუწყო, ლამაზი თითებით თმა გადუვარცხნა, თავი გადუწია და მისებური მხურვალებით თვალები ამოუკოცნა...

ამ ხერხით ვალიდამ, თითქო მიზანს მიახწიაო. სერიოჟას გამოცოცხლების ნიშანი დაეტყო. ყმაწვილმა თვალები დააცეცა, ტუჩები ააცმაცურა და... (ვალიდას ეგონა, ესეც არი ლაპარაკს დაიწყებსო), მარა ოდნავ გონს მოსულმა სერიოჟამ ჰაერში მოულოდნელათ მუშტი გაიქნია და საოცარი ხმით გაბა:

— ვაი მე!.. აჯან აჯან ბალამ ბალაამ...

აქ საშიშარი, აბა, რა იყო, მარა ამ უეცარმა წამოძახილმა ვალიდა დააფთხო. ქალი შეკრთა და შრიალ შრიალით ოთახიდან გაიქცა.

სერიოჟა-კი იქვე გადაბრუნდა და ოთახში მადიანი ხვრინი გაისმა.

— დავაძინე, გენაცვალეო, ჩაუჩურჩულა ბაბოს, დაბრუნებულმა ვალიდამ.

ათი საათი იქნებოდა. სტუმრები დიდის ამბით გამოეთხოვენ პურად მასპინძელს. ეტლე-

ბი ნელ-ნელა დაიძრენ ეზოდან. წინ, ჭიჭყინით და რახა-რუხით მიუძღოდათ ქვეითი მეზურნეები. „ჰაი-ჰაის“ ძახილი დიდხანს არღვევდა სოფლის ნაზ მყუდროებას და, ბოლოს, მიწყნარდა, მიჩუმდა. მხოლოთ დრო გამოშვებით, თუ დაიძროდა მთის ნიავი და, ამ დროს, ბაბოს მყუდროებით მოცულ ეზოში გაიგონებდით შორეულ კრახუნას ყრუ ჩხრიალს.

მეორე დღეს მწარეთ დანაღვლიანებული სერიოჟა იდგა სადგურის წინ, პლატფორმაზე და, მწუხარება რომ არვის შეემჩნია, ხელებში სირმის წკეპელს ათამაშებდა; ხანდახან კიდეც იცინოდა და ორჯერ, თუ სამჯერ თავის ულაზათო ოხუნჯობით სხვასაც სიცილი მოგვარა.

იქვე იყო დედა მისი, კნეინა ბაბო, „ძია დათა“ და „ძია ირაკლი“, მერიც იქვე იდგა. ელიჩკას და კატუტიას საშინელი მწუხარე სახე ქონდათ.

ცოტა მოშორებით-კი, სამგზავრო ბარგთან, დამდგარიყო ხანჯალჭე კოხტათ ხელ დაბჯენილი კოწია მოურავი.

მატარებელი ზრიალ-ძიძგინით მოადგა სოფლის პატარა სადგურს. დარეკეს ზარი და დადგა გამოთხოვების ჟამი. სერიოჟას გული ჩაწყდა, მარა ცრემლები, ეგ სირცხვილის მაჩვენებელი ცრემლები, რომლებიც ის იყო გადმოცვენას უპირებდენ, ვაშკაცურათ შეიმაგრა თვალებზე.

აი, კიდეც დაიძრა შეჩვენებული მანქანა. შუშუშუ. თათათათა... თათათათა...

სერიოჟა ღია ფანჯარასთან დგას და ნაღვლიან თავის რხევით ემშვიდობება დედას, ნაცნობებს, ნათესავებს და...სათუთ მერის, მის „ცუგრუშელა მერის“.

მიქრის მატარებელი და ზედიზედ ქრებიან დედა, „ძია დათა“ ოქროს ხანჯლით, „ძია ირაკლი“ თავის ჩინებით, და კოწია მოურავის ბოხოხის ქუდიც, რომელიც, ვინ იცის, რამდენჯერ დაუბერტყია ტალახში და მტვერში. აი, ყველაფერი გაქრა. დარჩა სადღაც უკან... შორს, შორს—სამოთხეში.

— მშვიდობით! მშვიდობით! — ო, გასძახა თავადისეულს გულდამწვარმა სერიოჟამ და ცხარე ცრემლები გადმოყარა...

სერიოჟამ ხუთი დღე იმგზავრა.

თენდებოდა. მატარებელი ელვის სისწრაფით მიქროდა ნისლიან მიდვრებში. შორიდან მოჩდა ბურუსიანი, და ნაცრისფერი პეტერბურგის ცა. ჩვენი სერიოჟა მორთული და მოკაზმული იდგა ღია ფანჯარასთან. მისი სახე არ იყო ჩვეულებრივათ მხიარული, მარა არც მწუხარებას გამოხატავდა. ან-კი რა ქონდა საჯავრო?

წიგნების კითხვას ბოლო მოელო და, თუ მაინცა და მაინც მერის დაშორება შეაწუხებდა, ნუ თუ ამ უზარმაზარ ქალაქში არ მოიძებნებოდა მერის მსგავსი გოგუცუნა?

—აბა, რა სისულელეა!.. განა მარტო ქართველი ქალებია ლამაზები?—ფიქრობდა სერიოჟა ფანჯარაში თავგაყოფილი.

— რუსის ქალი არ იყო ის ცისფერ თვალება, ძია ირაკლის რო ჩამოყვა რუსეთიდან?..

ამ დროს სერიოჟას გაახსენდა ხუთი წლის წინათ მოხთარი ამბავი.

იმ ზამთარში „ქალების მუსუსათ“ წოდებული, უცოლშვილო ირაკლი, უკვე მოხუცი, მარა მაინც დაუცხრომელი მოტრფიალე, სამშობლოდან მოულოდნელათ გადაიხვეწა.

— მინდა ვნახო მოსკოვი—ეგ სარწმუნოების ბურჯი ქალაქია, ამბობდა, თურმე ირაკლი წასვლისას და, სხვათა შორის, ამასაც დაუმატებდა:

თუ ვიშოვე კარგი ეკონომკა, რაც უნდა დამიჯდეს, მაინც ჩამოვიყვან, რადგან ამ ჩვენებურ ქალებს ეკონომიის „ინჩი-ბინჩი“ არა გაეგებათ“-ო.

ერთი თვის შემდეგ, ირაკლი დაბრუნდა მოსკოვიდან. მას ჩამოყვა 18—19 წლის ქალწული, სახელათ კლავდია... სიმართლე უნდა ითქვას, თავადის არჩევანი საუცხოვო რამ გამოდგა.

ოჰ, რა წყნარი, რა მომხიბლავი იყო კლავდია! მისი ბავშური სახე, ციმციმა, ოქროსფერი თმა, ცისფერი თვალები და გველივით მოქნილი, ამაყი სხეული, ვის არ მოგვრიდა ტრფობის სიზმრებს! კლავდია მეოჯახე ქალის როლშიაც სამაგალითო შეიქნა.

ქალის ინგელოზური ყოფაქცევით მადლიერი ირაკლი ასეთ განცხრომაში იყო, როგორც ადამი-სამოთხეში, მარა შვენიერი ევა გველმა შეაცდინა.

ირაკლის ნდობით და სიყვარულით გათამამებულმა ქალმა ერთ ახალგაზდა ქართველ აფიცერს შიშით და საიდუმლოთ რაღაც იარალი ათხოვა. ეს სამწუხარო ამბავი საბრალო ირაკლიმ მხოლოთ მაშინ გაიგო, როცა ძვირფასი ნივთის გათხოვება რამდენჯერმე გამეორდა. გაბრ ზდა მოხუცი თავადიშვილი და იმ დღიდან ლამაზ კლავდიას ხსენებაც გაქრა სოფელ თავადისეულიდან.

აი, ეს საყურათღებო ეპიზოდი მოაგონდა ჩვენს სერიოჟას, როცა პეტერბურგს უახლოვდებოდა და ამ მოგონებამ ზედიზედ მოგვარა მას ტკბილი და ტკბილი იმედები...

დილის ათი საათი იქნებოდა. სერიოჟა ქარივით მიქროდა ხალხით გაჭედილ ნევის პროსპექტზე. ვანიერ ეტლში არხეინათ გადაჭიმულს, გვერდით უჯდა მისი ახლობელი ნათესავი, სარდიონ მიქელაძე. ეს ჭაღარა ყმაწვილი 13 წელიწადია, რაც აქაურ უნივერსიტეტში სწავლობს. სამი ფაკულტეტი გამოიცვალა, ღღეს მეოთხე აქვს ამორჩეული და თითონაც ვერ გეტყვის, შემდეგ რა იქნება. იშვიათი სილამაზის, საუცხოვო მომღერალი და მოქეიფე მზე-ჭაბუკი გაგიკვირდებოთ მოწონთ აქაურ საშუალო წრის ქალებს, მარა ამ ყმაწვილს ერთი ახირებული ზნე ჭირს: მისი ტერმინოლოგიით რო ვთქვათ — მთვრალობის დროს უყვარს რესტორანებში სარკეების და ფანჯრების „ლაწა-ლაწი", ქუჩაზე კი — ქუჩის მცველების და მეეზოვების „პარტყა-პურტყი".

ესენი კარგათ იცნობენ ამ „აზიატს" და შუა ღამისას, როცა გადაკრულს დაინახავენ, ერთი მეორეს მზრუნველობით აფრთხილებენ:

— Вишь, Ванюха! кажись знакомая холера несется! —

სარდიონი და სერიოჟა ჩამოხტენ სოლოვიოვის პირველ ხარისხოვან რესტორანთან, იქ მიდიანათ ისაუზმეს და იქვე გადაწყვიტეს: ხადილი ექამათ ოთხ საათზე, უსათუოდ რესტორან „მედვედ"-ში, მანამდი-კი დაევლოთ, რაც ახლო-მახლო შესანიშნავი ადგილები ეგულებოდათ. ნასაუზმევს სარდიონი და სერიოჟა ისევ ეტლში ჩაჯდენ და გაყვენ ზღვასიგით მღელვარე ნევის პროსპექტს. სარდიონი საუცხოვო გუნებაზე იყო. ის ლაპარაკობდა დინჯი, ბოხის ხმით:

— სერგოჯან, შენი ჩამოსვლა ძალიან მიამა, უნდა გითხრა სიმართლე! კაცო, რა ხანია არ მინახავხარ! დავაშკაცებულხარ, გალამაზებულხარ კიდეც... მხოლოთ ერიდე, ძმაო, აქაურ ქალებს! ნამეტანი სიყვარული იციან ხოლმე.. ლამაზ ყმაწვილს, რო ნახვენ ღონეს და ტვინს ერთათ გამოაცლიან, მარა ნიჩეოოო! ყმაწვილობისას ყველაფერი უნდა გამოცადო!

— რა თქმა უნდა, ძმაო! —

დაეთანხმა სერიოჟა და თანვე კითხა:

— ეს ვებერთელა წითელი სახლი ვისია?

— ეს გახლავს „ანიჩკოვის სასახლე", აი, ის-კი ანიჩკოვის ხიდია. შეხე იმ თუჯის ცხენებს!..

— ვაჰ, ერთი ასეთი ცხენი მომცა ჩვენს თავადისეულში და თუნდაც ათი წლის სიცოცხლე დამაკლო! —

ინატრა სერიოჟამ და თვალები დააცეცა ყალყზე შემდგარ ოთხ უზარმაზარ თუჯის ცხენს.

ეტლი გაშორდა ანიჩკოვის ხიდს. სარდიონი დაუზარებლათ უპასუხებდა თავის მეგობარს.

— აი, ეს ყაზანის საკრებულო ტაძარია, ცხრა მილიონი დამჯდარა.. აიმ უზარმაზარ წითელშენობას დააკვირდი! მეფის საზამთრო სასახლეა.. აი, კიდევ, ისაკის საკრებულო ტაძარიც 21 მილიონი ღირს!..

ეტლი გავიდა ვასილის კუნძულზე ⁄ გაყვა მდინარე ნევის ნაპირს. სარდიონმა მწარეთ ამოიოხრა:

— ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! ხედავ, კაცო, იმ გძელ შენობას?

— ვხედავ, როგორ არა! ყაზარმა ხომ არ არი, ასე გადაჭიმული?

— არა!. ყაზარმაზე უარესია. ეს, ძმაო ჩემი დამღუპველი უნივერსიტეტია!..

მთელი ოთხი საათი ისეირნეს ჩვენმა მგზავრებმა. დანიშნულ დროს რამდენიმე წუთი-ღა უკლდა, როცა ისინი ეწვიენ რესტორან „მედვედ“—ს. დაღამებისას სარდიონი ეუბნებოდა სერიოჟას:

— ხვალ კვირაა... შენ, ჩემო სერიოჟა, სამხედრო სასწავლებელში ორშაბათამდინაც რომ არ გამოცხადდე, არაფერი გიშავს. იცი, რა ვქნათ? მოდი და ერთი ჩინიზელის ცირკში წავიდეთ. იქიდან 12 საათზე დავბრუნდებით.. ყაბულსა ხარ?

— რა თქმა უნდა, თანახმა ვარ:

— ოჰ, სერიოჟაჯან! ნაშუაღამევს ისეთ რამეებს განახებდი, ისეთ რამეებს... მარა გუშინწინ სკაჩკებზე... იცი რაა, სკაჩკები? აი, ჩვენებურათ ცხენების დოღს რომ ეძახიან. იმ ოხერ სკაჩკებზე 300 მანათი წავაგე... ჰო, იმას გეუბნებოდი: გლაზოვის ქუჩაზე ერთი სახლია — იაპონურ სასახლეს ეძახიან ხუმრობით, სულ იაპონელ ქალებითაა სავსე! აწი, ბიჭო, რა თვალები აქვთ იმ შეჩვენებულებს, რა თვალები! უნდა ნახო თეთრ ტრიკოებში რო ცეკვავენ! ჭკუაზე შეიშლები სიამოვნებით!.

— ა ბიჭო, წამიყვანე ერთი სარდიონ.

— წაგიყვან, სულიკო, წაგიყვან. ვინ ოხერი არ წაგიყვანს, მარა ცოტა ფული—კი არ გვეყოფა...

სერიოჟა საშინლათ დაინტერესა გლაზოვის ქუჩამ. ის მზათ იყო დაეხარჯა 200 მანათი, ოღონდ ენახა და ეგრძნო ის ბედნიერება, რასაც სარდიონი პირდებოდა...

მეორე დღეს დაღლილ—დაქანცულ სერიოჟას გამოეღვიძა სარდიონის ოთახში. ყმაწვილმა თვალის გახელისთანვე საშინელი დაქანცულობა იგრძნო. სად იყო ის და სარდიონი მთელი ღამე? რას ჩადიოდენ?!.

სერიოჟას სანატრელი მიმზიდველობით წარმოუდგა მთელი იმ ღამის სურათები და სიამოვნებით გაიზმორა.

— ძალიან—კი დავთვერით, მეც და ჩემი სარდიონიც! ღმერთო, რა ეშხით უკრავდა იმ დალოკილ მატჩიშს სიმებიანი ორკესტრი!. მარა უნდა გითხრა სიმართლე, ყველაზე უფრო გასაგიჟებელი შიშველ იაპონელ ქალების ცეკვა იყო! რა თეთრი და ჩასკვნილი ტანი აქვთ იმ ოჯახქორებს! ყოჩაღ, ყოჩაღ, სარდიონ-ცხვირი რო მიამტვრია ვიღაც სერთუკიანს. ყურუმსაღი, რა ჩვენი მეგობარი იყო, რომ აგვეტორღიალა?—

ასე ოცნებობდა ახლათ გამოღვიძებული სერიოჟა. მის გულში იბადებოდა სიყვარული და პატივისცემა იმ სარდიონისადმი, რომელიც იქვე, მის ახლო იწვა და ბალიშიდან კისერ გადაგდებული დაკლულ ხარივით ხროტინებდა.

(შემდეგი იქნება).

ივ. ი — ანი.

სალაყბო წერილები*).

ნიკო თავდგირიძე „განთიადში“ სჩიოდა, ჩვენმა ახალგაზდა პოეტებმა აღარ იციან ზედმიწევნით მელექსეობის ხელოვნება, რადგანაც თვით ჩვენი ოჯახი გადაგვარებულა, დაჰკარგვია სამშობლო მწერლობის სიყვარული ასე, რომ აღარ გაისმის კვლავინდებურად მუნახიბად წარმოთქმული ხმები ისეთი, მაგალითად, როგორც უთქვამს თეოდოსია თავდგირიძის ასულს გრიგოლ მღვდელ მთავარზე მისივე წვევის გამო.

რასაკვირველია, მართალი ბრძანებაა. მაგრამ, განა სხვაფრივ კარგად არის საქმე ჩვენი მწერლობის? განსაკუთრებით სიტყვა კაზმული სა ? უცილოა მხოლოდ ერთი რამ. XIX ს. მწერლობის უახლესი პერიოდითგან, რომელსაც სათავეში ვაჟა ფშაველა უდგას, ახალგაზდა პოეტებმა შეისწავლეს თითქმის ზედმიწევნით ფორმა, ქართული ლექსის წერის ხერხი. ამ მხრით შვილებმა მამებს გაუსწრეს. მაგრამ ჩამოჰრჩნენ კარგი ფორმის შინაარსითა. როგორც მამების ნაწერში იყო იშვიათი კარგი ფორმა, უზადო და უნაკლო, ისეთი, როგორიც სჩვეოდა თავისუფალი საქართველოს სულ მნათ მოშაირეთა, ისევე შვილების ნაწერს იშვიათად განასხვავებს სიმაღლე შინაარსისა, განსაკუთრებით საკლასიკო მხარე. კლასიციზმი პოეტ მამებს მეტი აქვსთ, ვიდრე პოეტ შვილებსა.

სიტყვა კაზმული პროზა კი ახალ პერიოდ-

*) ეს სტატია ისტამბება პატივცემულ ავტორის მართლწერით.

რედაქცია.

ში ჯერ კიდევ არ განვითარებულა. საიმედო ნიშნები განვითარებისა ატყვია ისევ ვაჟა ფშაველას სიმბოლიურ ამბებსა. მამებმა ამ მხრითაც აჯობეს შვილებსა. ილია ჭავჭავაძე, დროების კვალობაზე, დიდი პროზაიკოსი იყო ისევე, როგორც ვისრამიანის უცხო მთარგმნელი ვინმე. მაგრამ საქმე განუვითარებელი დარჩა მაინც. დანარჩენი სიტყვა კაზმული პროზა ისევე, როგორც მისი სამეცნიერო, თუ სალაპარაკო—საპუბლიცისტიკო ნაწილი, თუ მოსაწონია ზოგჯერ, მოსაწონია მხოლოდ აზრით, თავისი შინაარსითა ასე, რომ ის ნაწარმოები ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ დაკარგული ორიგინალის ცუდ თარგმანსა. რათა? იმათა, რომ მხოლოდ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს ვკითხულობთ და ქართულად ვეწევით მწერლობასა. თუ ქართული საკლასიკო მწერლობა მოგვეპოება, ზოგჯერ არ ვიცით, ხან კიდევ არ დავსდევთ. ხელთ უიარაღონი გამოვდივართ მწერლობის ასპარეზზე მაშინ, როცა ჰხამს, მწერალმა

არ შეამოკლოს ქართული,
არა ჰქმნას სიტყვა ძვირობა;
ხელ მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა,
ისმარნას დიდი გმირობა.

ასე რომ არ იყვეს, რად განთქმია სახელი ზოგიერთ ისეთ პოეტს და პროზაიკოსს, რომელთათვისაც ქართული კლასიციზმი უცხო ხილია. მაშინ, როცა მათი ქართული ერუდიცია მეცხრამეტე საუკუნის ნაცოდვილევ მწერლობას არ გასცილებია და მათი გონებრივი ავლადიდება მარტოოდენ არარაობას წარმოადგენს?

***

განა მარტო ეს გარემოება განახასიათებს XIX საუკუნის ქართულ მწერლობასა? მის სიტყვა კაზმულ ნაწილს მოეპოება აგრეთვე ზოგჯერ �ალბი, ზოგჯერ კიდევ უჯერო მოტივი, ორივე გამომდინარე ქართველთ კოსმოგონიის და მწერლობის უცოდინარობის და მათი ცხოვრების შეუსწავლელობისაგან. პირველია ტეტხლის, მისი ხმარების შემოღების მოტივი. ვინ არ იცის, რომ მდევს (ზევს, დევს) ცეცხლი ჰქონდა, მისი გაჩენილი კაცი კი ბნელში იყო? მაგრამ მისმავე ნათესავმა პრომეთემ შეიცოდა კაცი, რომელსაც, ცეცხლისუქონლობის გამო, სატანჯველი ადგა, მდევს მოჰპარა ცეცხლი და ასწავლა სიკვდილის შვილს მისი ხმარება... აქედგან დაიწყო მისი წარმატებაცა. მდევს შეეშურდა და პრომეთე მიაჭედინა ჰეფესტოს კავკასიის ციცაბო კლდეზე. ეს ამბავი, რომელიც ბერძნებმა შეჰქმნეს, მათმავე ტრაგიკოსმა ესხილმა ქრისტეს წინ V საუკუნეში გადააკეთა ტრაგედიად, რომელსაც უწოდა მიჯურსმული პრომეთე. ქართველადაც-კი ითარგმნა. ამირანის ზღაპარი ქართველი ხალხის შექმნილია ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული. ამირანი ღმერთმა დასაჯა, როგორც, მარტო ბრძოლის დროს, მისმა მძლეველმა, მომრევმა. რათა? იმათა, რომ თავს გაუვიდა, პატივმოყვარეობამ ნება აღარ მისცა მისი მძლეველი ამ ქვეყნად კიდევ ვინმე ყოფილიყო. ბ განიზრახა განგების დამარცხებაცა: გამოიწვია საბრძოლველად, მაგრამ დაჰმარცხდა. იმავ ადგილზე, ღმერთმა რკინის პალოზე ჯაჭვით დაბა და ზედ გადმოჰხურა მღვიმედ მყინვარგერგეტის მთები. ზღაპარშია გაკვრით ნათქვამი, ამირანს ეწადა ღარიბი ხალხისთვის, რომელიც სისხლიან ქერის პურს სჭამდა, რძიანი პური ეჭმიაო.

ყორანი პრომეთეს გულ ღვიძლს უკორტნიდა, ამირანს კი, ღვთისავე ბრძანებით, აწვდიდა ყოველდღე რძიან პურს და ხელადა ღვინოსა. შეიძლება ამირანს ნაკრთომი უპოოთ ებრაელთ, ბერძენთ და არაბთა კოსმოგონიისა, რაიც კიდეც გარკვეული მაქვს ჩემი ამირანის ლექსის წინასიტყვაობაში. მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია. ცეცხლი მაინც არ სად სჩანს. მაშასადამე, ამირანის ცეცხლი ყალბი მოტივია. უნდა ითქვას პრომეთეს ცეცხლი, ზღაპარიც ბერძნულად დაიწეროს და ბერძნულ ყაიდაზე გამოყენებულ იქმნეს ნახელოვნებ ქმნილებაში.

მეორე ყალბი მოტივია ნესტან დარეჯანის პირადობა. ნესტან დარეჯანი ნახელოვნები ტიპია ქალისა. მსოფლიო მწერლობაში რამდენიმე თუ ჩამოითვლება თავისი სიდიადით ისეთი ტიპი. ქართულ მწერლობაში ხომ სულ ობლადა სდგას ისევე, როგორც მისი უკვდავი შემოქმედი დიდებული რუსთველი. განა ნესტან დარეჯან ქართლის ბედია, როგორც სწერენ და მჭევრ მეტყველებენ? ეს გარემოება მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ სამშობლო მწერლობა ნაკლებად ვიცით. ნესტან დარეჯან ბედი კი არარის, ან ხვითო, თუ ნატრის თვალი, რომ ყოველი ბედნიერება კარს მოგვადგეს ისე,

რომ ხელის განძრევა აღარ დაგვჭირდეს. არა! იგია სხვისი გამაბედნიერებელი, უპირველესად თავისი მამულის ინდოეთისა, დიდებული სუბიეკტია, რომელნაც თავისი სულითად-გულითადი მიჯნური ტარიელ, როგორც საყვარელი, აამოქმედა მაღალ საგმირო საქმისთვის მას შემდეგ, რაც ხატავეთი დაუპყრობინა. რა იყო ის საქმე? იგი იყო ბედნიერება ინდოეთისა, რომელსაც ხიფათი და უბედურება, პოლიტიკური მონობა მოევლინებოდა, თუ გათხოვდებოდა ხვარაზმშაზე. ფარსადან მეფეს უნდოდა სპარსეთის ბატონიშვილის ზედ სიძედ მოყვანა ინდოეთში, ინდოეთი კი სამკვიდრო იყო როგორც ნესტანის, ისე ტარიელისა. იმავ დროს ნესტან და ტარიელ ერთმანერეთის მოყვარულნი იყვნენ, მაგრამ სიყვარული საიდუმლო ჰქონდათ. მეფე დედოფალმა თათბირზე ტარიელიც დაისწრეს. ამ ამბის გამო ტარიელ სწერს საყვარელსა,

შეტილებაცა ვით ვკადრე,
რადგან თვით იყო უნდომელი.
მოწმობა დავჰრთე, დავსკვნა
დღე ჩემი სულთა მსდომელი.

ამას შემდეგ ტარიელ კოშკში ეახლა ნესტანსა, მაგრამ სატრფო პირქუშად დაჰხვდა „გამწყრალ განრისხებული. უწოდა ფიცის გამტეხი, მტყუანი და მუხთალი. ბოლოს, უბრძანა:

ვინცა ბინდა
ეპატრონნა ინდოეთსა,
ეგრეცა მე მაქვს პატრონობა,
უგზოდ ჭვლიდენ, თუნდა გზეთსა.

ტარიელმა შეჰხედა, ჰნახა სასთუნალზე მუსაიფი (ყურანი) გაშლით მდებარე. აიღო ადგა, ჯერ ღმერთი, მერმე ნესტან აქო და ჰკადრა. ცამ მრისხოს, მე, თუ შენთვის ფიცი გამეტეხოს. დამეშალა შენი ქორწინება, ვერ დავჰშლიდი, თავსა უთხარ, მიუმოწმე ჟამად გიჯობს გულმაგრობა მეთქი.

მემცა დაშლა, ვითა ვჰკადრე,
რადგან იგი ვერ მიმხვდარა,
ის თუ იცის, ინდოეთი
უპატრონოდ არ გამხდარა!
ერთი მე ვარ მეშამული,
სხვასა ჰმართებს არად არა.
ვის მოიყვანს, არა ვიცი,
ანუ იგი ვინ მომცდარა

ნესტანმა დაიჯერა მიჯნურის სიმართლე, დაუტკბა და უთხრა,

ფიჯდი თავსა ჩემსა და
მორწმეთ ინდრეთს ფლობასა,
მე და შენ დავჰსხდეთ ხელმწიფედ,
სჯობს ყველას სიძე სძლობასა.

გონიერი

ჰხამს, არდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს, მოაგვარონ,
საწუთრისა დაუწყნარდეს.
თუ სასიძო არ მოუშვა,
ვა, თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და ისი წაიგიდნეთ,
ინდოეთი გარდაჰქარდეს.
კვლავ, თუ სიძე შემოუშვა,
მე შემირთონ, იყოს ეს დენ,
ერთმანერთსა გვეუწრნეთ,
ძოწეულნი გაგვიფლასდენ,
მათ მორწმენულთა მოიკლინა,
ჩვენ ბატიჟნი გაგვიასდენ,
ეგე ამბავ არ ეგების,
რომე სპარსნი გაგვიხასდენ.

ტარიელმა ჰკადრა, ღმერთმა აშოროს იმ ჟამუკს შენი ქმრობა.. რა შემოვიდენ ინდოეთს ასრე დავჰხოცო, აღარას სახმარობა აღარ შეეძლოთო. ნესტანმა უბძანა თუ,

ჭსამს დიაცი
დიაცურად, საქმე დედლად.
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ,
ვერ ვიქნები შუა კედლად.
ჩამოგვიდეს, სიძე მოჭკალ,
მათთა სპათა აუწყვეტლად.
ქმნა მარიდისა სამართლისა
ესა შეიქმს ხმელსა ნედლად.
იგი რა მოჭკლა, ეუბენ
პატრონსა ჩემსა მამასა,
ჭკადრე თუ, სპარსთა ვერა ვიქმ
ინდოეთისა ჯამასა.
ჩემია მკვიდრი მამული,
არ მიგსტეგ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაგიხდი
ქალაქსა, ვითა ტრამასა.
ჩემი ეოდა ნურა ბინდა,
სიყვარული, ნურცა ნდომა,
ამით უფრო მოგეცემის
სიმართლისა შენ მოხდომა.

(დასასრული იქნება.)

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ქუთაისი.

(პირველი წერილი).

სირცხვილი კი არი ქართველი კაცი ამას ამბობდეს, მარა მაინც უნდა აღვიარო.

მეოთხედი საუკუნეა, რაც ამ შვენიერ ქვეყანაზე ვცხოვრობ, მალე ორი წელიწადი შესრულდება, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვსულვარ, ქართველ საზოგადოების მაღალ წრეებში დიდის ამბითაც მიპირებენ ორი წლის იუბილეს გადახდას და...

ქუთაისი-კი არ მინახავს!

მიუხედავათ ამისა, მაინც დიდ ეროვნულ მწერლათ ვითვლები. რაღა დავმალო, ამ ორიოდე კვირის წინ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ თანამშრომელმა, ახალგაზდა (12 წლისაა) კრიტიკოსმა ვახტანგ კოტეტიშვილმა შემოიარა ოცდაათამდი დაბა-სოფელი. და დიდი აფრთოვანება გამოიწვია თვისი საუცხოვო ლექციით ჩემ შესახებ:

„ია ვარდიძე და მისი შემოქმედება“.

აპრილის უკანასკნელი რიცხვი იყო, მგონი, ის საარაკო, მზიანი დღე. ცეცხლით განადგურებულ ქართულ თეატრის ნანგრევებზე ვისხედით მეგობრები და, აღარ მახსოვს, რის შესახებ გვქონდა საუბარი. ეს კი ვიცი—საერთო ყურათღების საგანი მე თვითონ გახლდით.

ვფიქრობდი:

— ვიცი, ვიცი, თქვე ეშმაკებო, თუ რათ ისმენთ ყოველ ჩემს ნათქვამს: თქვენ გსურთ, ჩემი სიკვდილის შემდეგ, „მოგონებებით“ აავსოთ ჟურნალ-გაზეთები, მარა...

— ყმაწვილო, ქე როგორ ეკადრება თქვე ნისთანა ნიჭიერ მწერალს ქუთაისის უნახაობა. რას იხილავთ უშვენიერეს ამ ჩვენს ტურფა სამშობლოშიო, მისაყვედურა იმერელმა დეკანოზმა, გაბრიელ კელენჯერიძემ, რომელიც ჩინებულ ლექსებს ათავსებს, თურმე, სოციალისტურ გაზეთ „იმერეთში“.

ასეთმა მოულოდნელმა შენიშვნამ გამაწითლა, დამაბნია და საპასუხოთ მხოლოთ ეს-ღა მოვახერხე:

— მამაო, მეც ვგრძნობდი ამ დიდ დანაშაულს და სწორეთ ამისთვის გადაწყვეტილი მაქვს ზეგ ღამით ქუთაისისკენ გავემგზავრომეთქი.

ამ სიტყვებმა მხიარულების ღიმილი მოგვარა „იმერეთის“ თანამშრომელს.

— ძალიან კარგს ინებებთ, თქვენმა სიცოცხლემ! მიპასუხა.

— ჩვენ, ქუთათურები, ამას ტრაბახობაში ნუ ჩამოგვართმევთ, საშინელ პატივსა ვცემთ საზოგადო მოღვაწეებს. უნდა მოგახსენოთ, ნამეტანი ფხიზელი და მხიარული ხალხი ვართ იმერლები. საოცარი ზეიმით ვიცით იუბილეს გადახდა. აი, მაგალითად, ლუკა ჩიბურდანიძე! განა დავიწყებული არ ყავდა ის მთელ საქართველოს? ვიღას ახსოვდა მისი დიდებული დრამები, რომანები. ლექსები და ტრაღედიები? არავის!...

აი, სწორეთ ჩვენ, ქუთათურებმა, ავტეხეთ ერთი ალიაქოთი და დღეს, ვინ იქნება ისეთი თავხედი, რო გენიოსათ არ აღიარებდეს ლუკა ჩიბურდანიძეს?!

მე ყველაფერში ვეთანხმებოდი მამა გაბრიელს. ის კი, ის ჩემი ცოდვით სავსე, აღტაცებით განაგრძობდა!

— მაშ, გადაწყვეტილი გაქვთ, ხო? მეც თქვენთან მოვდივარ. ზეგ ღამით გავალთ თფილისიდან, მეორე დღეს-კი, დილა ადრიან ქუთაისში ვიქნებით. იქ მე ვეცდები გაგაცნოთ იქაური უხვი ქველმოქმედი ანთიმოზ მოსიძე, რომელმაც 12000 მანათი შესწირა, აი, ამ დამწვარ თეატრის ასაგებათ, 6000 მანათი ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, 2000—ადგილობრივ ბიბლიოთეკას და ბევრი სხვა. იქვე გაგაცნობთ ლონგინოზ დათეშიძეს. ასეთი ხელ გაშლილი და გულშემატკივარი ადამიანი, არა მგონია, რომელიმე ერს მოეპოვებოდეს. მთელი ქონება ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს შეალია. თვითონ-კი დადის თავფეხ შიშველი. ამ ბოლო დროს მადლიერმა ქუთაისის საზოგადოებამ ის ბანკის თავმჯდომარეთ აირჩია და ჩვენმა გაზეთმა დიდის აღტაცებითაც აღნიშნა ეს ფაქტი...

შავწვერა დეკანოზმა მუცელზე ხელები

დაიდო, დიდრონი თითები აათამაშა და ისევ განაგრძო:

— ქუთაისმა ბევრი ნიჭით სავსე შვილი მისცა საქართველოს. ავიღოთ, მაგალითად, იონა ჩიმაკოვანი. მისთანა ენა მჭევრი ორატორი იშვიათია ჩვენს ისტორიაში. ამ საზოგადო მოღვაწის წარსული—ეს ერთგვარი ზნეობის მაჩვენებელი სკოლაა მომავალ მოღვაწეთათვის... თქვენ გაიგონებდით კალისტრატე ჩიკმაკურიძის სახელსაც. ეს შესანიშნავი ვეჟილი, ისეთივე ფაქიზი ზნის გახლავთ, როგორც იონა ჩიმაკოვანი. მხოლოთ სამწუხაროთ მიმაჩნია, რომ ეს ძვირფასი ადამიანი ებრაელების უბანში ცხოვრობს. დიდი პატივისცემა აქვს დამსახურებული დავით მასხულიას. ამ შესანიშნავ დრამატურგის კომედიებს აღტაცებაში მოყავს მთელი ქუთაისის საზოგადოება...

დავითის კალამს ეკუთვნის კომედია: „რუკი ნა პლეჩი!“, „მუჯლუგუნი“, „ვეი პლაჩი“ და...

— იქნებ, სხვა დარგშიც იყოს შესანიშნავი ეგ თქვენი მასხულია-მეთქი, ვკითხე აღელვებულ დეკანოზს.

— დავით მასხულია? ოო? ეგ შეუდარებელი იუმორისტია, მიპასუხა:

— ნამდვილი მარკ ტვენია! თქვენ დავითი უნდა ნახოთ, იცით, როდის?

— როდის, ნეტავი?—ვკითხე მე.

— როდის და, როცა ჩოხა ახალოხში ჩაბალახით თავშეკრული გამოდის ქუთაისის უზარმაზარ სცენაზე. მის ოხუნჯობას რო ყური დაუგდოთ, მუცელზე კანი არ შეგრჩებათ! ვის არ მოწამლავს მისი ბასრი იუმორი!..

ამ 6 წლის წინათ, სცენიდან ნათქვამ კუპლეტებით მან ტყავი გააძრო ყველა იმ ნაძირალებს, რომელთაც ჩვენი შეცდომით ახალთაობას ვეძახდით.

ერთი მისი კუპლეტი ახლაც ზეპირათ მახსოვს!

— მამაო, ნუ დაიზარებთ და გამაცანით ამ კუპლეტის შინაარსი-მეთქი.

ვთხოვე გაბრიელ კელენჯერიძეს.

დეკანოზმა მძიმეთ ჩაახველა, ხმა გაიწმინდა და წვერების ცმაცურით დაიწყო:

— ჩვენ რომ დრო გამოვიარეთ,
იმისთანა თქვენსა მტერსა!
დააქციეს საქართველო,
წიხლი ჩასცეს ტანჯულ ერსა.

— —

იძახოდენ: ჩამოდექით!
ეს ბურჟუა, ის ბოროტი...
ვისაც ორი ვროშში ქონდა,
გაუკეთეს ბოიკოტი!

— —

„ძირს ყველაო!“ გაიოდენ...
გაჯიუტდენ, შეკრეს ბლოკი.
მარა მოგეცათ სიცოცხლე,
გამოუვიდათ ბოლოკი!..

— —

„ჰეა მაგასო!“.. და გაიქცა
არა ერთი დემოკრატი,
და შიშისგან ყოველ მათგანს
მოეშალა, თურმე, კრანტი!

— —

„ეჰა, პრაშჩაიტ სოციალიზმ!“
და დაიღეს ცუდათ ხახა.
ჩვენ-კი დავრჩით და ვიცინით:
„ხი, ხი, ხი, ხი!.. ხა, ხა, ხა, ხა!“.

პატარა პაუზის შემდეგ, გაბრიელი მეორე კუპლეტის დაწყებას აპირობდა, მარა მე უეცრათ კბილის ტკივილი მოვიგონე და საჩქაროთ გავშორდი იქაურობას.

ია ვარდიძე

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ.

ილია ჭავჭავაძე, როგორც დირიკოსი პოეტი.

(27 ივნისი. 1837—აგვ. 1907 წ.)

I.

„ნეტა, ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის იქავ ეწაფება
უკდავების წყაროსა!„...
ილ. ჭავჭავაძე.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ქართული ლიტერატურის მოულოდნელი, თითქმის უეცარი აღორძინება, მკვდრეთით აღდგენა და განახლება ყველა გონიერი ადამიანისთვის დიდათ დიდი თვალსაჩინო, მეტათ აშკარა ამბავია. მაშინდელ ჟურნალებს, ან უკეთ რო ვთქვათ, იმ დროის ჟურნალს, ილიას

„საქართველოს მოამბეს“ რო ვათვალიერებთ, ჩვენ ვხედავთ სრულიათ ახალს, ჯერ საქართველოში არსად არ ნახულს, რამდენიმე განათლებულ, პატიოსან კაცისგან შემდგარს რაზმს ლიტერატურასა და საზოგადოებაში მომუშავეთა, რომელთაც საქართველოს მდიდარს არე-მარეში პირველათ შამოაქვთ უცნობი, ახალი საგნები, შლიან ჩვენი თვალის წინ ფართე, მიმზიდველ იდეალებს და იმათ შესახებ ბჭობენ და ბაასობენ მწერლობასა, ოჯახსა და საზოგადოებაში. სალიტერატურო ბჭობას და ქადაგებას, პუბლიცისტურ, ლირიკულს და ბელეტრისტულ დიდ უანგარო შრომას ნამეტურ ის მადლი მოყვა, რო ქართული ლიტერატურა დიდათ გამდიდრდა ახალი ძვირფასი ნაშრომებით და თვისი ძლიერი და წარმტაცი შინაარსით მიცეს მას სრულიათ ახალი მიმართულება, გაამდიდრეს ქართველთა საზოგადო აზრის ვითარების საქმე და თლად ჩვენს შვენიერს, ტურფა ქვეყანას უხვათ მოფინეს ახალი აზრები და სიტყვები.

რა იყო მიზეზი ამ განახლებისა?

მოგეხსენებათ, ყოველგვარ შემოქმედობით ძალის გავითარებას ცხოვრებაში გარს ახვევია ასი და ათასი მრავალი გარემოება და ერთი მეორეში გადახლართულია მრავლის უმრავლესი საზოგადო და ინდივიდუალური პირობა. ამიტომ კაცისთვის ძალიან ძნელი გამოსაძებნია, რომელი გარემოება გამოაცალკეო, გახადო ყურათღების ღირსი და წაავლო ხელი და გამონახო ძარღვი მთელი მოძრაობისა, შემოქმედობისა. ქართული ლიტერატურის მაშინდელ განახლებას და აღორძინებას ზოგიერთი ჩვენი მწერლები, უმეტესათ, აწერენ მხოლოთ და მარტო ტალანტების ჩვენში იმჟამათ გაჩენას და სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლას. მარა ესეთი აზრი სიმართლეს მოკლებულიც რომ არ იყვეს, გადაჭარბებული ხომ არის და არის. რა საკვირველია, მაშინდელს მოღვაწეთ ნიჭსაც და ენერგიას, აბა, ვინ წაართმევს. მარა ასე მარტივათ დიდი საგანი მაინც ვერ აიხსნება. ნიჭიერი, დიდი ტალანტით დაჯილდოებული კაცები გამოვიდენ მაშინ სამუშაოთ ცხოვრებასა და ლიტერატურაშიო, რო ვიძახოთ, ეს არა კმარა. საჭიროა და ფრიადაც საჭირო, ავხსნათ ეს გარემოება, რატო მაშინ დაიბადენ დიდათ ნიჭიერი კაცები და დღეს—კი ვითომც არ იბადებიან ნიჭიერნი. მაშასადამე, კვლევის საგანი აქ უფრო ღრმავდება და რთულდება.

მე, პირადათ, ლიტერატურაში ტენდეციური ხელოვნების მომხრე არავარ [1]). მოძღრული, მშრალი მორალების და ტენდენციების მქადაგებელი ხელოვნება, ან მხატვრობა ლიტერიტურაში მე მიმაჩნია ძალიან ცუდ საქმეთ, პირდაპირ უსაქმურობათ, წმინდა წყლის ლაყბობათ.

მხატვრული ლიტერატურა და თლად მწერლობა ხატავს სრულად ცხოვრებას, მთელი თვისი სიღრმე-სიგანით და ძალით, ყოველ გვარი მომხდარი ცვლილებით, ბრძოლით, მოძრაობით და გრძნობა-გონებით. ცხოვრების სინამდვილეში გრძნობა და აზრი არის. მაშასადამე, ლიტერატურამაც უნდა გამოხატოს ეს გრძნობა და აზრი. აი, ამიტომაც, ლიტერატურას ცხოვრების სარკეს ეძახიან. ნამდვილი და ჭეშმარიტი მხატვარნი და მგოსანნი აპყრობენ გრძნობა-გონებას იმ დიდ საქვეყნო მოქალაქობრივ და ეროვნულ ბრძოლას, ან უკეთა ვთქვათ, ანტაგონიზმს, რომელიც ატეხილია ამ ჟამათ ამ ჩვენს ისტორიულს დროში, კაპიტალსა და შრომას შორის. ისინი გამოხატვენ იმის სახეს-ფორმებს, იმის გაბედულ და მამაც, ძლიერს და მხიარული გულის თქმათა და მისწრაფებას, მისს წინააღმდეგობათა და ინტერესებს, მთელი იმის საოცარს და საკვირველს დიალეკტიკას...

ნამდვილი და ჭეშმარიტი მხატვარნი და მგოსანნი წერენ და მღერიან მომხიბვლელი და ძლიერი კალმით და ხმებით და ხატვენ თანამედროვე მოქალაქეთა სურვილებს და მისწრაფებას, აღტაცებას და იდეალებს ყოველგვარი მხატვრული საშვალებით და სალიტერატურო ფორმებით. მხატვარნი და მგოსანნი სრულიათ თავისუფალი და თვით-მყოფნი არიან აქ. მათ ვერ დაატანებენ ძალას

1) მკითხველს ვთხოვ, ამ საგის შესახებ მოიგონოს ჩემი პოლემიკა ბატ. ივ. გომართელთან. ავტ.

მორალისტები, ტენდენციების მქადაგებელნი და უტილიტარისტები... წეროს და იმღეროს ჭეშმარიტმა ხმატვარმა-შემოქმედმა სწორეთ ისე, **როგორც თავისუფლად** თავის თავად, ძალდაუტანებლათ **მღერის ბულბული.** ჩვენც ვიმეორებთ, რო, თუ მახვილმა ფხიზელმა ყურმა და თვალმა მხატვარი-შემოქმედი მგოსნისამ, რაც დაინახა და გაიგონა დღეს **ცხოვრებაში დასახსოვებელი, თვალ საჩინო,** არ შეიძლება არ იმეღრიოს მან ფოდადაეთ გამომწვარი და ოქროსავეთ ძვირფასი სიმღერა, რომ არ გამოსტეს მუსიკასავეთ ძლიერი, ჯერ არ გაგონილი ხმა მისმა საკრავმა. აი, აქ არის, ჩემი აზრით, საიდუმლოება მხატვრობისა. ეს არის მისი ფსიქოლოგია და ფილოსოფიაც. თვით პროცესი შემოქმედობისა, რომელიც მქნის რთული ცხოვრების, ღრმა და ძლიერი სულის განსახიერებას-გამოაშკარავებას ინდივიდუალურ ადამიანის შემოქმედობაში, ჯერ კიდევ მიუწდომელია მეცნიერებისთვის. მაშასადამე, მიუწდომელია და საიდუმლოებით მოცულია ისეთი სერიოზული კრიტიკისთვისაც, როგორიც არის ისტორიული კრიტიკა.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რო ხელოვნება და, საერთოთ, ლიტერატურა, თუ მივიღებთ ამ სიტყვას მისი უაღრესი მნიშვნელობით, ცხოვრებაში შრომის დროს, დიდათ გამოსაყენებელი რამ არის, ისეთი რამ, როგორც მაგალითად, ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკაა. ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკაც სარკესავით ხატავს დღეინდელ დღეს, ჩვენს ყოველდღიურს ცხოვრებას კაცთა საზოგადოების ჭირსა და ვარამს, რადგან ცხოვრებას ზედ გულზე აზის და ამ გულიდან სცემს ქვეყნათ იმისი მაჯაც.

აკი მოგახსენეთ, ლიტერატურა და ხელოვნებაც, მიუცილებლათ, გამომხატველია ცხოვრების. მარა მას აქვს სრული უფლება ამ ცხოვრებას უყუროს დაშორებით, განზე, უყუროს ისე, როგორც გარეშე მაყურებელი თითქმის, და ისე უნდა ათვალიერებდეს, დინჯათ უკვირდებოდეს ცხოვრებას, არა, როგორც გულის თქმით გატაცებული და დღიურვარამით მწარეთ დაინტერესებული, არამედ ერთი დიდი საერთო, საზოგადო იდეით, რომელიც შეუსისხლხორცებია შემოქმედი ავტორის სუბიექტიურს არსებას. და, რასაკვირველია, არც ეს იდეა უნდა მომდინარობდეს მარტო დღეინდელ დღის, ამ მომენტის ცხოვრების დუღილიდან. არა. იმისი დასაბამია თვით ჭეშმარიტი ლიტერატურის დასაწყისში და ჩასახულია შორს, წმინდა მიმზიდველს სამერმისო იდეალებში. აი, ამ დიადი საერთო, საზოგადო, საკაცობრივო იდეის მადლით და ელვარე სხივით გამოინახება ცხოვრებაში ხელსამძღვანელო დღეინდელი დღის იდეებიცა და ისინი სრულის ხატებით და ძლიერებით გამოითქმიან ბელეტრისტიკაშიაც, ლირიკაშიაც, პუბლიცისტიკაშიაც და კრიტიკაშიაც. იდეები, მართლაც, მანიხელების ეონებივით, ციდან ხომ არა ცვივიან. ისინიც ჩნდებიან და ვითარდებიან მხოლოთ და მარტო საზოგადობრივ ურთიერთობაში და ყოველთვის, ყოველგან აზისთ ბეჭედი ასეთი ვითარებისა. რა თქმა უნდა, დიდ-დიდ განყენებულ იდეოლოგებშიაც, დიდ-დიდ და ძლიერ სამხატვრო შემოქმედობაშიაც ყოველთვის გამოიხატება ხოლმე, შედარებით რომა ვთქვათ, პატარ-პატარა, უბრალო ფორმალური ელემენტები, რომელნიც ერთი ხანიდან მეორე ხანაში, მეორე ეპოქაში გადადიან. მარა ეს უბრალო, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ელემენტები ასე, თუ ისე დახასიათდებიან ერთი უმთავრესი, დიადი ისტორიული შინაარსისგან და იმისგან იღებენ თვის დასაბამს.

თუ რო თვით ცხოვრებაში არის ცოცხალი, პატიოსანი აზრები, არ შეიძლება ლიტერატურამაც არ გამოხატოს ისინი. ამ გარემოების წინააღმდეგი მოვლინება შესაძლებელია მხოლოთ და მარტო მაშინ წარმოვიდგინოთ, როდესაც „გარდუვალი ძალა", ილიასი არ იყოს, ,,მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა,'' გადაეღობება წინ ლიტერატურას. აიღეთ ემილზოლა, საქვეყნოთ გათქმული განსვენებული ბელეტრისტი საფრანგეთისა და თქვენ ნახავთ, რომ იმის ინდივიდუალურს თავ-გადასავალს თან მისდევს საზოგადო მოძრაობის და იდეების მხატვრულათ გამოხატვაც.

ახლა გადაშინჯეთ ილია ჭავჭავაძის ნაწერები, ისიც თვისს კერძო ხასიათის მიწერ-მოწერაში, პუბლიცისტურ წერილებში, მოთხრობებსა და ლექსებში ხატავს თანამედროვე ქართველთა ცხოვრების საზოგადო მოძრაობას...

მარა მხატვრული ლიტერატურა, როგორც მოგეხსენებათ, გარემოცულ ცხოვრების მარტო და მხოლოთ მშრალი გამოხატვით—კი არ უნდა კმაყოფილდებოდეს. სერიოზული ლიტერატურა ღრმათ დაუკვირდება, შეისწავლის და დაამუშავებს ცხოვრების მოვლინებას. მერე, შვენივრათ, პოეტურათ, საკუთარის ფანტაზიის განცდის წყალობით გარდაქმნის მას და ძლიერის გულის აღმძვრელის მხატვრობით დაგვიხატავს ცხოვრების სინამდვილეს. სწორეთ ასეთი მხარე აქვს ლიტერატურას რუსეთში წარჩინებულის მწერლის, გოგოლიდან დაწყებული და საქართველოშიაც ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული. მხატვრულათ დამუშავება, განცდა, გარდაქმნა საზოგადობრივი სინამდვილისა ყოველთვის და ყოველგან ნიშნავს მმოძრავი, ცოცხალი, პატიოსანი აზრებით და იდეებით ცხოვრებას, ბრძოლას და მღელვარებას. ჩვენი ახალი ლიტერატურა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ახალი მხატვრული ქართული ლიტერატურა სწორეთ ილია ჭავჭავიდან იწყებს თვის დასაბამს[2]),

დიდი საიდუმლოება რუსეთისა და ჩვენი ლიტერატურის აღორძინებისა, განახლების და გამდიდრებისაც იმაშია, რო მაშინდელმა ლიტერატურამ აშკარათ, პირ წმინდათ გამოხატა და დაახასიათა ცხოვრების სინამდვილის ერთი დიადი ხელსამძღვანელო საზოგადობრივი იდეა. როგორ გაჩდა ცხოვრებაში ის იდეა, სად არის იმისი რეალური დასაბამი?—ამის განხილვას მე აქ ახლა არ შევუდგები, რადგან ეს შორს წაგვიყვანდა, დროსაც და ადგილსაც ბევრს მოითხოვდა. ეს დიადი იდეა შეიძლება

[2]) შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ ახალი მხატვრული ლიტერატურა „სურამის ციხის“ ავტორმა დაიწყო ჩვენში. „სურამის ციხეს“ რო მხატვრობის ნამცეციც—კი არა სცხია, ეს აზრი ჩემზე უფრო ადრე ცოცხლათ და შვენივრათაც გარკვეული აქვს თავის სტატიაში, ისეთს დიდს მხატვარს-მგოსანს, როგორც, აკაკია.

ავტ.

მოკლეთ ორიოდე სიტყვით გამოითქვას: **ბატონ-ყმობის მოსპობა.**

ბატონ-ყმობის მოსპობის სურვილი იყო არა მარტო იდეა, არამედ მთელი ცხოველი და არსებითი, დიდათ ღრმა და ძლიერი გრძნობა,[3]) რომელმაც აამღელვარა მწარეთ და საშინლადაც მთელი რუსეთი და საქართველოც, რა თქმა უნდა. ტყუილად არა წერს რუსეთის სახელოვანი ბელეტრისტი, ტურგენიევი თავის თავზე:

„ჩემს თვალებში მტერს... გარკვეული სახე ქონდა; ცხადს სახეს ატარებდა: ეს მტერი იყო ბატონ-ყმობის უფლება. ამ სახელწოდებისთვის შეეკრიბე და თავი მოვუყარე მე ყოველიფერს, რის წინააღმდეგ ბრძოლა გადავწყვიტე ბოლომდი და, რომელსაც, ფიცი მივიღე, არასოდეს არ შეეურიგდე... ეს იყო ჩემი ანნიბალისებური ფიცი; და არც მე მარტო ერთს მიმიცია ეგ ფიცი ჩემი თავისთვის მაშინ.[4])

უამფიცოთ, არა თუ ი. ს. ტურგენიევი, მთელი ლიტერატურა რუსეთისა და ჩვენიც არ იქნებოდა ასე გაცხოველებული, აღორძინებული, ენერგიულათ ამღელვარებული და გამდიდრებულიც. ასეთი ფიცი მიეცათ თავიანთი თავისთვის ჩვენი ეროვნების მაშინდელს გოლიათებსაც: იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს [5]), ილია ჭავჭავაძეს, „საქართველოს მოამბის“ ყველა თანამშრომლებს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს და სხვათაც.

II.

ამ მხრივ ქრისტეფორე მამაცაშვილი ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც უკიდურესი დამცველი იყო ყმების გათავისუფლებისა მიწიანა.

„ერთ კრებაზე წამოდგა ახალგაზდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, რომელ-

[3]) იხ. „Опытъ философіи Русской литературы.“ Андреевича.

[4]) იხ. თხზულებანი ი. ს. ტურგენიევისა. გამოცემა 1884 წ. ტ. X. Литературныя воспоминанія, გვ. 4.

[5]) იმისი შესანიშნავი სიტყვა ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში, სადაც კინაღამ მოკლულ იქნა.

ავტ.

ᲛᲐᲪ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲒᲐᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲛᲘᲬᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡᲝ. ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲠᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲓᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲐᲖᲠᲛᲐ ᲐᲐᲨᲤᲝᲗᲐ. ᲔᲠᲗᲛᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲛᲐ ᲘᲨᲘᲨᲕᲚᲐ ᲮᲐᲜᲯᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲜᲫᲦᲕᲐ-ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲚᲘᲐᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲘᲬᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲠᲝᲚᲓᲐ: „ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲘᲗ, ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲘᲗ! ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲙᲚᲐᲝ.“ ᲒᲐᲒᲘᲟᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲨᲔᲐᲙᲐᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲕᲘᲡ-ᲫᲚᲘᲕᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲧᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ (ᲛᲘᲬᲘᲐᲜᲐ) ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ, ᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ ᲒᲔᲜ. ᲚᲔᲘᲢ. ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ-ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲔᲚᲛᲐ. ᲛᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲛᲘᲬᲝᲗ ᲧᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲛᲮᲠᲝᲑᲐᲝ, ᲛᲘᲬᲘᲐᲜᲐᲗ-ᲙᲘ— ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲗ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲙᲐᲪᲣᲜᲐᲝ. ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲛ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲪᲐ, ᲛᲝᲐᲑᲠᲣᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲐ: „ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲒ ᲙᲐᲪᲣᲜᲔᲑᲘᲝ?“ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲘᲣᲒᲝ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲐ ᲓᲐ „ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲪᲣᲜᲐᲡ“ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ, ᲣᲜᲓᲐ ᲔᲗᲥᲕᲐ „ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲪᲘ“... ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲐᲡᲔ ᲐᲗᲐᲕᲘᲗ:

„ᲘᲚᲘᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘᲕᲔ ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ [illegible] ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘᲐᲪ ᲐᲠᲐᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲣᲦᲐᲚᲐᲢᲜᲘᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲗᲔᲛᲘ“ (№ 178, 1914 Წ.) ᲡᲬᲔᲠᲡ: „ᲠᲝᲛ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲛᲔᲓᲒᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲬᲘᲐᲜᲐ, ᲔᲡ ᲩᲐᲜᲡ ᲪᲮᲐᲓᲐᲗ ᲘᲛ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲐ ᲛᲐᲜ 4 ᲛᲐᲘᲡᲡ 1864 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ „ᲘᲒᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲑᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲘᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲐᲓ, ᲘᲡᲔ ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕᲝ.“ ᲐᲛ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲣᲓᲒᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲙᲚᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲒ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲡ. ᲡᲒ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲒᲕᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ: ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲗᲐᲕ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘᲝ. ᲛᲐᲠᲐ ᲜᲣ ᲗᲣ ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲓᲔᲡ ᲜᲔᲑᲐᲡ, ᲣᲐᲠᲕᲧᲝᲗ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲑᲐ? ᲜᲣ ᲗᲣ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲝᲗ ᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ? ᲐᲠᲘᲡ... ᲯᲔᲠ-ᲔᲠᲗᲘ, ᲠᲝ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲘ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲚᲘᲐᲡᲘ ᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ, ᲐᲮᲚᲐᲪ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲗᲐᲕ. ᲖᲐᲐᲚ ᲜᲝᲨᲠᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲗᲔᲛᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ: „ᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ. ᲘᲡ ᲗᲐᲕ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲐ ᲛᲐᲜ 4 ᲛᲐᲘᲡᲡ 1864 ᲬᲔᲚᲡ, ᲩᲐᲓᲐᲗ, ᲕᲘᲡᲐᲒ ᲠᲐ ᲐᲮᲡᲝᲒᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲝ 1863 ᲬᲔᲚᲨᲘᲕᲔ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲔᲑᲖᲔ ᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲚᲘᲐᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘ, ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲒᲔᲛᲓᲐ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲔᲬᲔᲠᲐᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲑᲔᲠᲐᲗ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲛᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔ ᲓᲐ „ᲛᲝᲡᲚᲝᲒᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔ“ ᲞᲘᲠᲣᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲑᲔᲠᲕᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲓᲠᲝᲡ. ᲘᲚᲘᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ 1907 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲕᲘᲡᲐᲒ ᲠᲐ ᲐᲮᲡᲝᲒᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲝ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲖᲔ, ᲘᲛᲐᲡ ᲬᲔᲠᲓᲐ. ᲖᲝᲒᲘ ᲐᲕᲡ, ᲖᲝᲒᲘ ᲙᲐᲠᲒᲡ. ᲐᲡᲔ ᲛᲝᲘᲭᲪᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲒᲐᲡᲐᲚᲐᲜᲫᲓᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲡ— „ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲗᲔᲚᲘᲡ“. ᲜᲔᲢᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲡᲞᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲐᲚᲛᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲐᲞᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲩᲮᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲚᲐ, ᲣᲛᲘᲖᲔᲖᲝᲗ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲜᲫᲓᲕᲐ.?!

ᲐᲕᲢ.

---

*) ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲒᲔᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ,,ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘ'' ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲓᲐᲘᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲛᲝᲣᲠᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲚᲝᲗᲘ ᲬᲔᲠᲡ; ᲥᲠ. ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲐ, ᲬᲔᲠᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲔᲒ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲡᲮᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲒᲝᲜᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲡᲗ. Თ.-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ 1863 ᲬᲔᲚᲡ. ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘᲙᲘ ᲬᲔᲠᲡ ,,ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲡ'' 1907 ᲡᲔᲓᲡᲗ.

ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲒᲔᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ! ᲠᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲘᲜᲪᲐ ᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ 1863 ᲬᲔᲚᲨᲘᲕᲔ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲔᲑᲖᲔ ᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲚᲘᲐᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘ, ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲒᲔᲛᲓᲐ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲔᲬᲔᲠᲐᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲔᲑᲔᲠᲐᲗ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲛᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔ ᲓᲐ „ᲛᲝᲡᲚᲝᲒᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔ“ ᲞᲘᲠᲣᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲑᲔᲠᲕᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲓᲠᲝᲡ. ᲘᲚᲘᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ 1907 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲕᲘᲡᲐᲒ ᲠᲐ ᲐᲮᲡᲝᲒᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲖᲔ, ᲘᲛᲐᲡ ᲬᲔᲠᲓᲐ. ᲖᲝᲒᲘ ᲐᲕᲡ, ᲖᲝᲒᲘ ᲙᲐᲠᲒᲡ. ᲐᲡᲔ ᲛᲝᲘᲭᲪᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲒᲐᲡᲐᲚᲐᲜᲫᲓᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲡ— ,,ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲗᲔᲚᲘᲡ''. ᲜᲔᲢᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲡᲞᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲐᲚᲛᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲐᲞᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲩᲮᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲚᲐ, ᲣᲛᲘᲖᲔᲖᲝᲗ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲜᲫᲓᲕᲐ.?!

როცა კავკასიის საოლქო სასამართლო შეეკითხა თავ. ზ. ნ. ჭავჭავაძეს, როგორი განწყობილება არსებობდა საგურამოელ გლეხებსა და თავ. ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძეს შორისო,—მაშინვე რატომ არ მოუყვა იგი იმის მტკიცებას, რო 1863 წელს ილია ყმების სრულ გათავისუფლებას ცდილობდა მიწიანა და სხვა საყურათღებო ისტორიები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან, რომელსაც არავინც არ კითხულობდა იმ დროს თავ. ზ. ნ. ჭავჭავაძისგან. სრულიათ ამჩატებული და მეტიჩრობითაც გატაცებული უნდა ყოფილიყო დარბაისელი და სულგრძელი კახელი ზაალ ნოშრევანისძე ჭავჭავაძე, რომ არა მკითხე მოამბესავით, გლახა ჭრიაშვილივით, მოყოლოდა იგი და ერახუნებინა ის, რაზედაც მას არავინც არაფერს არ კითხავდა ძველი ისტორიის ფურცლებიდან. თუნდაც ეს ისტორიები ძალიან საინტერესოც ყოფილიყო ბატონი პეტრე გელეიშვილის თვის...

გარდა ამისა, ჩვენ აქ ჩამოვთვლით 1863 წელს მცხოვრებ ცნობილ ჭავჭავაძიანთ სახელებს და ბატონმა პეტრე გელეიშვილმა გულზე ხელი დაიდვას და ისე ბრძანოს: რომელი იმათგანი, თუ არ ილია, იქნებოდა ავტორი სწორეთ იმ მოხსენებისა, რომელსაც იხსენიებს პატივცემული სვიმონ ავალიანი თვისი შრომის 348 გვერდზე? ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა: პირდაპირ ბძანეთ, აბა, რომელი ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო ამ ჩამოთვლილებში, თქვენი აზრით, იმ მოხსენების ავტორი, თუ არ ილია, როცა მხოლოთ ილიას კუთვნილ სტილითაც ადვილათ შეიძლება პირდაპირ დამტკიცდეს ამ შემთხვევაში ილიას ავტორობა...

1863 წლის ცნობილი ჭავჭავაძენი: დავით ალექსანდრესძე ჭავჭავაძე, ზაალ ჭავჭავაძე, თფილისის მსჯული ნიკოლოზ ჭავჭავაძე (საშას მამა), განჯის გუბერნატორათ ნამყოფი და, მერე, დაღისტნის ოლქის უფროსი, ნიკოლოზ ჭავჭავაძე, გულბაათ ჭავჭავაძე, ცნობილი გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე, რომან ჭავჭავაძე, სპირიდონ ჭავჭავაძე, გიორგი ჭავჭავაძე, სოლომონ ჭავჭავაძე, გიორგი (მეორე) ჭავჭავაძე, ლევან ჭავჭავაძე, ზაალ ნოშრევანისძე ჭავჭავაძე და ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე (ჩვენი მწერალი და მოღვაწე).

მარა ასეთი შეკითხვებითა და განმარტებითაც ჩვენს შეუპოვარს ლეკტორს წარბსაც ვერ შევუხრით, რადგან მას „არქივებში დაცული ისტორიული დოკუმენტები უჭირავს ხელში“ ყველა მოწმეების გასაბათილებლათ.

ეს დოკუმენტი, რომელიც ინახება წერა-კითხვის საზოგადოებაში და, რომელზეც არის დამყარებული ბატონი პეტრე გელეიშვილის შეხედულობა, არის ხელ ნაწერი № 2443, რომელსაც სათაურათ აქვს „შეკრება ოც და ერთის აზრისა, ორას ორმოცდა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულის ბატონ-ყმობაზე, შედგენილი აპრილს 1863 წ. 33,9×45,5 სანტიმეტრი (იხ. „კატალოგი ქ. შ. წ. კითხვის გამავ. საზოგ. წიგნთ-საცავისა“, თფილისი 1905 გვ. 229).

თელავის უეზდიდან ჩამოთვლილია ცხრა მემამული ბატონი, რომელთა რიცხვშიაც ურევია ვინმე ,,ნაიაზ ილია ჭავჭავაძეც, რომელიც ხელს აწერს, რო მამული, რომელშიაც ყმებს აქვთ ბინადრობა, ესე იგი: სახლ-კარი, სხვა და სხვა მოშენება, ვენახი და სახნავი დამთეს ხელ შეუვალ საკუთრებათ მებატონეთა“.

„ვინ არის ეს „ნაიაზ ილია ჭავჭავაძე. სამართლიანათ კითხულობს „თემის“ პატივცემული რედაქცია (ზემოთ დასახელებულსავე ნუმერში), როდის და სად უწერია ხელი (მერე ისიც ,,ნაიაზობით, დავუმატებ მე, ხ.) ასეთს აზრებზე, ან სად ულაპარაკნია მაგვარი რამ, ყველა ამაზე პასუხია საჭირო. სანამ უტყუარ მასალას, ამ კითხვების გადასაწყვეტათ არ შეკრებთ, არ შეიძლება დავეთანხმოთ პ. გელეიშვილს მსჯელობაში. „შეკრების“ შემდგენელს მხოლოდ მაშინ დაეჯერება, როცა ტაღკე პირთა საკუთარი (პირადი) აზრი მოყავს, როგორც, მაგ. გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილისა*), ხოლო საცა კოლეკტიური საერთო აზრი

*) არ შემიძლია გავიზიარო ბატონ პეტრე გელეიშვილის აღტაცება გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილისა, რომელიც 1863 წელს გამოსთქვამს სრულიად. რეაქციონურ აზრს, საზოგადოთ, პროლეტარიატის შესახებ. 1848 წელს პროლეტარიატმა ევროპის ხმელეთზე უკვე საქვეყნოთ დაამტკიცა, როგორც გაბედულმა მოქალაქემ, თვისი პოლიტიკური სიმწიფე და იგი მაშინც არ იყო ,,მაზარალებელი, ბალღამი სახელმწიფოში'' როგორც ჩვენიათ ამის ძახილი რეაქციონერებს. **ავტ.**

აქვს მოტანილი, აქ ის არ დაეძებს, მართლა ყველა მისგან დასახელებული პირის რიცხვით ზოგჯერ ორმოცზე მეტი) იზიარებს მას, თუ არა. მისთვის ასეთ შემთხვევაში, არც დოკუმენტია საჭირო, არც წერილობითი და არც ზეპირი თანხმობა. მას გონია, რომ ამდენი და ამდენი პირი, ამა და ამ აზრის თანახმანი არიან, ან, თუ თანახმა არა, წინააღმდეგი მაინც არ იქნებიანო. ვერავინ დაიჯერებს, რომ ეს „კნიაზი ილია ჭავჭავაძე", ჩვენი ცნობილი მოღვაწე და მწერალი იყოს. ეს ილია რო ყოფილიყო, თვით მისი სახელის პირდაპირ მიწერილი იქნებოდა მისი აზრიც. მოხსენებული ი. ჭავჭავაძე, ან სხვა ვინმე ილია ჭავჭავჭავაძეა (იყვენ და არიან ჭავჭავაძენი, ჩვენი მწერლის სეხნიები), ან და ილიას სახელი განგებ არის შეტანილი იმის და გაუგებლათ, რო მისთვის მოესპოთ საშვალება ოპოზიციაში ჩასდგომოდა ბატონ-ყმობის მომხრე თავად-აზნაურობას"...

მე ვთხოვ, ღრმათ ჩაუფიქრდეს ამ სიტყვებს ჩვენი პატივცემული ლეკტორი, ბატონი პეტრე გელეიშვილი.

(შემდეგი იქნება). **ᲮᲝᲛᲚᲔᲚᲘ.**

რედაქციისგან.

ქუთაისშიაც დაიწყო „ქალალდის შიმშილობა" და რედაქცია იძულებულია ამ ზაფხულის თვეებში, სეკტემბრამდი, თვეში თითო ნუმერი სტამბოს. ასეთს ჩვენს უნებლიეთს მწყობრი მუშაობის არევ—დარევას „განთიადის" დიდათ პატივცემული მკითხველები კარგათ გაითვალისწინებენ და გვაპატივებენ.

ქართული პრესა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტის, ბ-ნი ყვირილელის წერილი, რომელიც რუსულიდან გადმოუთარგმნიათ და ორ დიდ ფელეტონათ დაუსტამბავთ ქუთაისის კვირულ გაზ. „კვალში" (№№ 8 და 9).

ავტორი დგას ისტორიული მატერიალიზმის ნიადაგზე, მის ხელში დიალეკტიური მეთოდი უძლიერესი იარაღი შექნილა და ნიჭიერათაც ამარცხებს რუსეთის ს. დემოკრატიის უხუცეს წარმომადგენლებს: გ. ვ. პლეხანოვს, პ. პ. მასლოვს, ნიკ. იორდანსკის და სხვებსაც. მერე, რამდენი სარკაზმი არის წერილში გაბნეული...

მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი ჩვენი დეპუტატი ნათლად არკვევს საზოგადო პირობებსაც, რომელმაც გახვია „რუსეთის დუმა-კრატია ომის ალში" (წერილის სათაურიც ასეთია) და პირველათ ქართველი კაცი შესანიშნავის მჭრელის კრიტიკით ამარცხებს გ. ვ. პლეხანოვს, რომელსაც ისეთი პუბლიცისტები, როგორც მაგალითად, ნოე ჟორდანიაა, უჩენიკოვით იმეორებდა, არა თუ მის აზრებს, მის ტერმინებს და ფრაზებსაც-კი...

ყვირილელის წერილი დიდ წარმატებათ უნდა მივიღოთ ჩვენს სოციალ-დემოკრატულ ლიტერატურაში, რომელსაც, უეჭველია, მოელის დიდი საიმედო მომავალი.

მეორეს მხრით, ყვირილელის წერილი გულში გვინერგავს უკდავი იმედების ნათელს სხივებსაც, რო ქართველი მოზარდი თაობის ნიჭიერი წარმომადგენელნი, რაც უნდა ცუდ და აუტანელ გარემოებაში იყვენ მოქცეულნი, მაინც ძველი, გაუტეხელი ივერიელებივით მხნეთ განაგრძობენ თვისი საკუთარი ნიჭის, გრძნობა- გონების გავითარებას, რო გაუთანასწორდენ, არა თუ თვის პირვანდელ მოძღვრებს და გზის გამკაფველთ, არამედ გაუსწრონ კიდეც იმათ, უფრო მაღლაც დადგენ თვისი დროის და ეპოქის ადამიანებზე და ისე განსაჯონ დღეინდელი ცხოვრების რთული და მდიდარი მოვლინებანი...

აი, მაშინ და მხოლოდ მარტო მაშინ მიეცემათ ჩვენს ქართველ ნიჭიერ მოღვაწეებს ფასი, მაშინ მოიპოვებს ქართული ლიტერატურაც გავლენას და ზედ-მოქმედებას მკითხველ საზოგადოებაზე.

საღეისო.

ამ დიად უმაგალითო საერთაშორისო ომმა, მრავალ უბედურებასთან ერთად, ერთი, აუტანელი უბედურებაც მიუვლინა ხალხს. ეს უბედურება ომის გამოცხადების პირველ ხანებში იმდენათ საგრძნობი არ იყო, რამდენათაც დღეს არის. მე მოგახსენებთ ცხოვრების გაძვირებაზე, რომელიც ომის გამოცხადებას თან დაყვა და, რომელიც, რაცხანი გადის, მით უფრო მწვავე, საშინელს ხასიათს ღებულობს. გაძვირებისგან გამოწვეულ სიმწვავეს ისიც აძლიერებს, რო ხალხი ამ გა-

ხანგრძლივებულმა ომმა სხვა მხრითაც უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო. მისთვის დღეს მცირედი რამეც-კი, არამც თუ ისეთი დიდი უბედურება, როგორც არის გაძვირება, აუტანელია.

გაძვირდა ყველაფერი და საზღაპრო ფასები დაედვა, როგორც უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს, ისე შინაურსაც. ცეცხლის ფასი აქვს მას, რასაც ხალხი ყველაზე მეტს ხმარობს და, რაც ხალხისთვის ყველაზე მეტათ საჭიროა. გლეხსა და მცირე შეძლების პატრონს ვერ უყიდია შაქარი, ნავთი, წუნწუმა, პური, ტანთსაცმელი და სხვა. სანოვაგის და სხვა საქონლის სიძვირე უფრო მეტათ სოფელშია საგრძნობი. სოფელი ხშირათ ჩარჩ- მევახშეების ხელშია და მას პატრონი და მზრუნველიც ნაკლებათ ყავს.

სპეკულიატორებს ომმა, ფულის შოვნის, ფულის მოხვეჭის მადა ერთობ გაუძლიერა და, რო დიდი ფული იშოვონ, ეს ვაჟბატონები ყველაფერს ხელოვნურათ აძვირებენ. ომისგან გამოწვეულ პირობებს იმდენათ არ გაუძვირებია სანოვაგე, რამდენათაც მათმა გაუმაძღარმა მადამ გააძვირა ფუთ—შაქარზე 25 კაპიკი აქციზი მოიმატა, გადატან—გადმოტანაც გაძვირდა, თუნდა 25 კაპიკათ, ე. ი., დღეს შაქარი გირვანქა 17—14 კაპიკათ უნდა იყიდებოდეს და არა 20—25 კაპიკათ. ასევე ითქმის პურზე, ხორცზე, ნავთზე და სხვა უსაჭიროეს ხორაგზე.

როგორც მოგახსენეთ, ომმა სპეკულიატორთა მტაცებლის მადა გაზარდა. აგრეთვე ამავე ომმა ბევრი პატიოსანი ვაჭარი გახადა ჩარჩათ—მტაცებლათ. ჩარჩული ინსტიკტები მათში, იმდენათ გაძლიერდა, იმდენათ გაიწია, ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა და მთელი ხალხი აალაპარაკა...

ცხოვრების გაძვირება დღეს რუსეთშიაც ერთი უმწვავესი საკითხთაგანია და ამ საკითხს დიდი ყურათღებაც მიაქციეს. ქალაქის თვითმართველობანი, საერობო დაწესებულებანი, კოოპერაციები, განსაკუთრებული თათბირები, ობივატელთა კომიტეტები, სპეციალური კომისიები და საზოგადოების ამა, თუ იმ კლასის კრებები ამ დიდ საკითხს თავს დატრიალებს და ინუშავებს რიგს ზომებისას გაძვირებასთან საბრძოლველათ. საკითხმა მთავრობის წრეების დიდი ყურათღებაც დაიმსახურა და ამ საკითხის მოსაწესრიგებლათ იქაც გაცხარებული მუშაობაა. ხსენებულ პირთა, თუ დაწესებულებათა სიტყვა და საქმე ერთი შეიქნა და სიტყვიდან ფიცხლავ საქმეზე გადავიდენ. სხვა და სხვა ინსტანციებში შვამდგომლობისა და თხოვნის შემდეგ, ისე მოაწყვეს საქმე, რომ იშოვეს ვაგონები სანოვაგეთა შემოსატანათ და სულ მოკლე ხანში ეს, თუ ის ქალაქი სანოვაგის მხრით უზრუნველ ყვეს.

დაარსდა სპეციარურათ ამ საქმეზე მზრუნველი კომისიებიც, გამოიკრა ნიხრი, სასტიკი ყურათღება მიაქციეს მის ცხოვრებაში გატარებას, გაიხსნა სხვა და სხვა სანოვაგეთა საწყობი და მით საკითხს ცოტათი სიმწვავე დაეკარგა. ქალაქებში, ქალაქის თვითმართველობებმა და სოფელში საერობო დაწესებულებებმა არ შეიწყნარეს მცხოვრებთა ინტერესებზე თარეში ჩარჩ—მევახშეებისა და სპეკულიანტებისა. როდესაც ამ უკანასკნელებმა მცხოვრებთ ინტერესების გაქელვა მოინდომეს, აქ მათ წინ აღემართათ თვითმართველობანი და ერობები.

ღირსეულმა პატრონებმა, ღირსეული პატრონობა გაუწია ხალხს და, თუ თლად ვერ გაათავისუფლა ხალხი სპეკულიატორებისგან, ცოტათი მაინც შეასუსტა მათი თავაშვებულება და, რამდენათაც შესაძლებელი იყო, დაიხსნა ხალხი მათი გაყვლეფისგან. სხვა რომ არ იყვს, მცხოვრებლების თვალში თვითმართველობათა ამ ინსტიტუტის მოღვაწეობას ის მნიშვნელობა მაინც აქვს, რო ხალხი უპატრონოთ, ობლათ არ იგრძნობს თავს და, რომ ის დაინახავს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დიდ სურვილს მათდამი დახმარების საქმეში. ხალხისთვის ისიც დიდი ნუგეშია, რო ამ გაჭირვებისას მას ხელი გაუწოდეს და მის გაჭირვებას გულწრფელათ გამოეხმაურეს.

ის, რაც შეუძლებელი იყო გაცალკავებულ ამა, თუ იმ კუთხის საერობო დაწესებულების, თუ თვითმართველობისთვის, შესაძლებელი გახდა გაერთიანებული ქალაქების და სრულიათ რუსეთის ერობათა კავშირისთვის. ყოველ დროს არის მნიშვნელოვანი ასეთი გაერთიანება. მარა დღეს, სხვა დროზე, უფრო მეტი მნიშვნელოვანია ის. ერთმანეთთან დამოკიდებულებამ და ერთმანეთს შორის მჭიდრო კავშირმა გამოარკვია სადრა სანოვაგის სიმცირე, ან სიმრავლეა.

(დასასრული იქნება.)

მ. ხინელი.

მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. ეკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

„ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, დემოკრატულ-პროგრესიული მიმართულებისა ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი. თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი. ჟურნალში დასაბეჭდათ მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი

პირველი ნუმერი გამოვა ეკენისთვის 20—25—დი, ზომით 15—20 ფორმამდი

რედაქციის ბინა: თფილისი. ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тифлисъ, ред. груз. жур. „Ахали Моамбэ“.

ფასი: წლიურათ 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ეკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდი—4 მან. ფული უნდა გამოიგზანოს: Тифлисъ, редакція груз. жур. „Ахали Моамбэ“. Ивану Спир. Эліашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბეჟ. ყიფიანისა.

ეოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(სურათებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. № 190

თფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება

გ. თუმანიშვილის წიგნები:

Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія.

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები. ქართული თეატრი. —რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შევსებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.